ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

ორშაბათი, 27 ნოემბერი, 2017 | №281 (7516) | ფასი: 50 თეთრი

## ცხინვალის იზოლატორიდან გიორგი გიუნაშვილი გაათავისუფლეს

გვ.4



23 ნოემბრიდან

ლაშა იმედაშვილი

სამი მკვლელობა ძველ თბილისში

პატრიარქის ზაფხული

ქართული დეტექტივი

ტომი 13

ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი




# გადადგება თუ არა ილია II 25 დეკემბერს პატრიარქობიდან



„მოსაყდრედ გამოცხადებამდე რამდენიმე დღით ადრე მეუფე შიო მოულოდნელად გაფრინდა მოსკოვში, საიდანაც იმავე დღეს დაბრუნდა“

გვ.3

## გოჩა მირცხულავა: „პატრიარქზე ფსიქოლოგიური ზეწოლა ხორციელდებოდა“



## დაპირისპირება „ქართულ ოცნებაში“ — ლომჯარია ჩუგოშვილის კანდიდატურაა, კვირიკაშვილს ხორგუანი უნდოდა

გვ.2





## ვახტანგ გომელაური: „არის ეჭვი, რომ სპეცოპერაციისას ჩატაევია მოკლული“

გვ.4

რატომ დაწესდა ლარსის საკონტროლო-გამშვებ პუნქტზე შეზღუდვები ჩეჩნებისა და ინგუშებისთვის

**სამართალი**

## „ხალხი შველას ითხოვდა, ზეწრებს იქნევდნენ, აქ ვართ, გადაგვარჩინეთო... ერთ-ერთმა დედას დაურეკა, მიშველე, ვიხრჩობიო“

ხანძარმა ბათუმის სასტუმრო „ლეოგრანდში“ 11 ადამიანი იმსხვერპლა

გვ.7

8 ცხედარი ლიფტში იპოვეს



## სკანდალი „ლენდოს“ დაყადაღების საქმეში




გვ.4

**ეკონომიკა** გვ.6



## „თუ რეისი გადაიდო ან ბარგი დაზიანდა, ჩვენ დაგეხმარებით“

ბათუმის შემოვლითი გზის მშენებლობის გამო მოქალაქეებს უძრავი ქონება იძულების წესით ჩამოერთმევათ





## ვასო ურუშაძე: „ქვეყანას არასწორი სატრანსპორტო პოლიტიკა აქვს“

ISSN 1987-9385

**5** ბრიუსელის ცივი შხაპი პოროშენკოსთვის

**2** მაღალი იერარქიის სასულიერო პირები ვაშინგტონში გაემგზავრნენ

**5** სოსო ცინცაძე: „მარგველაშვილი თუ ისევ იყრის კენჭს, პარტიასაც შექმნის“

**8** ჟირინოვსკი: „რუსებს არაყი და როზგი უყვართ!“

# დაპირისპირება „ქართულ ოცნებაში“ – ლომჯარია ჩუგოშვილის კანდიდატურაა, კვირიკაშვილს ხორგუანი უნდოდა

ნონა ცაბაძე

სახალხო დამცველის თანამდებობაზე სახელისუფლებო კანდიდატის ვინაობა უკვე ცნობილია. უმრავლესობის კანდიდატი ნინო ლომჯარია იქნება. ამ თემაზე „ახალ თაობას“ ნანა კაკაბაძე და ხათუნა ხოფერია ესაუბრებიან.



## ხათუნა ხოფერია: „ნინო ლომჯარია ვერ იქნება სახალხო დამცველი! ამის პირობას გაძლევთ მე!“





## ნანა კაკაბაძე: „ხელისუფლება მთლიანად ამერიკიდან იმართება“

***– ქალბატონო ნანა, უმრავლესობაში დაპირისპირების საგნად იქცა სახალხო დამცველის თანამდებობაზე ნინო ლომჯარიას კანდიდატურის დასახელება. ყველას კარგად ახსოვს, როგორ აკრიტიკებდა ბიძინა ივანიშვილი არასამთავრობოებს, მათ შორის, ნინო ლომჯარიას. როგორ მოხდა, რომ დღეს ლომჯარია „ოცნების“ კანდიდატია? ივანიშვილის წინააღმდეგ მიდის საპარლამენტო უმრავლესობა?***

– სამწუხაროდ, დღეს მთელი საქართველოს ხელისუფლება ექვემდებარება ამერიკის საელჩოს. აშკარაა დასავლეთის გავლენა. ჩვენ ელჩის შეფასებებიც მოვისმინეთ ამ საკითხზე. ამიტომ ნინო ლომჯარია მოსწონს თუ არ მოსწონს ბიძინა ივანიშვილს, ამას მნიშვნელობა არა აქვს. თუ ქვეყანაში იქნება დიქტატი, სამწუხაროდ, იმას მილიარდერიც ექვემდებარება და ხელისუფლების ნებისმიერი წარმომადგენელიც.

ეს ჩვენი ხელისუფლების არასრულფასოვნების შედეგიც არის და იმის, რომ, სამწუხაროდ, საქართველო არ არის დამოუკიდებელი ქვეყანა. საკუთარ არჩევანს ვერც ხელისუფლების არჩევაში აკეთებს ხალხი და ვერც რიგითი თანამდებობის პირების დაკომპლექტებაში, ომბუდსმენი იქნება ის თუ სხვა. ეს ძალიან ცუდი მოვლენაა, თუმცა ესაა ჩვენი რეალობა. რატომ უნდა მართავდეს ჩუგოშვილი პროცესებს?!

***– პარლამენტში პროცესებს ჩუგოშვილი მართავს?***

– ის მართავს. ან ჩუგოშვილი როგორ შეიძლებოდა ყოფილიყო მისაღები კანდიდატი?! ჩუგოშვილი რატომ უნდა მართავდეს პროცესებს პარლამენტში, ადამიანი, რომელმაც ნაციონალებს „გაუპრავა“ 26 მაისი? გვახსოვს, როგორი განწყობები ჰქონდა ბიძინა ივანიშვილის მიმართაც და რას წერდა მასზე. ასევე კარგად გვახსოვს მისი მოსაზრებები პატრიარქთან დაკავშირებით.

***– მაშინ როგორ მოხვდა „ოცნების“ სიაში?***

– ბიძინა ივანიშვილს ამერიკის საელჩომ როგორც კი უთხრა, რომ ის უნდა ყოფილიყო მისი მრჩეველი ადამიანის უფლებათა სფეროში, მაშინვე დაეთანხმა. შემდგომ, როდესაც საელჩომ გაუკეთა ლობირება, ის უყოყმანოდ ჩასვეს სიაში და შემდეგ პარლამენტში დასვეს წამყვან თანამდებობაზე. დღესაც რეალურად ის მართავს პროცესებს. ეს ხდება იმიტომ, რომ საქართველოში რეალურად არ არსებობს ჩვენი ქვეყნის ინტერესების გამტარებელი ხელისუფლება. ისინი ვერ მართავენ პროცესებს.

***– აბა ვინ მართავს?***

– უცხო ქვეყნის წარმომადგენლები. ჩვენ სწორედ ამ რეალობაში ვართ დღეს. ამიტომ არის, რომ პარლამენტს ჩუგოშვილი მართავს და ახმოვანებინებს კობახიძეს იმ იდეებს, რომლებიც სწორედ დასავლეთის ინტერესებიდან გამომდინარეობს. ომბუდსმენის თანამდებობაზეც მისი კანდიდატურა გადის. პროცესებს მართავენ იუსაიდის ქოლგის ქვეშ მყოფი ორგანიზაციები. სამოქალაქო საზოგადოება ქვეყანაში აღარ არსებობს. არასამთავრობო ორგანიზაციები აღარ არსებობენ. მთლიანად გაიკრიფა ეს სპექტრი და დარჩა თითზე ჩამოსათვლელი ორგანიზაციები, რომლებიც დასავლეთიდან იმართება. ამერიკის ინტერესების გამტარებელი ძალა დარჩა მხოლოდ ჩვენს ქვეყანაში, რომელსაც, სამწუხაროდ, ეს მთავრობაც აღიარებს, ხალხს კი არავინ არაფერს ეკითხება.

***– გადაწყვეტილია და გავა ნინო ლომჯარიას კანდიდატურა?***

– აუცილებლად გაიტანენ. რა თქმა უნდა, უმრავლესობაშიც არ არის ერთიანი პოზიცია. ბევრს არ მოსწონს ლომჯარიას კანდიდატურა, მაგრამ უმრავლესობას ჰყავს ისეთი მორჩილი წარმომადგენლებიც, რომლებიც ნებისმიერ მიუღებელ კანდიდატურას დაუჭერენ მხარს. არ გაუჭირდებათ საკმარისი ხმების მოგროვება.

***– უჩა ნანუაშვილიც სერიოზულ კრიტიკას იმსახურებდა მმართველი გუნდის ნაწილში.***

– უჩა ნანუაშვილიც ხომ ამ პრინციპით იქნა დანიშნული. მის კანდიდატურასაც უცხო ქვეყანა ლობირებდა. უჩა ნანუაშვილი არ ატარებდა ქართველი ხალხისა და საქართველოს ინტერესებს, ისევე, როგორც არ გაატარებს ლომჯარია. ესენი სხვა ქვეყნის სამსახურში არიან. სწორედ მათი ინტერესებიდან გამომდინარე აკრიტიკებენ ხელისუფლებას. აი, ეს პროცესი იყო და დარჩა დღესაც.

მე ძნელად ვიხსენებ ისეთ პერიოდს, რომ ასეთი მონური მორჩილება ჰქონოდეს ჩვენი ქვეყნის ხელისუფლებას უცხო ქვეყნის მიმართ. პრემიერ კვირიკაშვილსაც ჰყავდა თავისი კანდიდატი სახალხო დამცველის თანამდებობაზე და არც კი განიხილეს ეს კანდიდატურა.

***– ვინ იყო კვირიკაშვილის კანდიდატი, იქნებ დაასახელოთ?***

– კვირიკაშვილის კანდიდატურა იყო სოფო ხორგუანი და საერთოდ არც განიხილეს მისი კანდიდატურა. სამაგიეროდ, გავიდა ჩუგოშვილის კანდიდატურა. ჩუგოშვილი ლომჯარიას ლობირებდა. ჩუგოშვილს კი ეს დავალება ამერიკის საელჩოდან ჰქონდა მიღებული. საქართველოს ხელისუფლება არის ფასადი და რეალურად მმართველობა არის გარე. ჩვენ ვართ კოლონია, დაპყრობილი ქვეყანა.

❖ ❖ ❖

**ხათუნა ხოფერია:**

– ზოგადად, ეს სტატუსი – სამთავრობო კანდიდატი – უკვე დამაკნინებელია და არასწორია იმ ინსტიტუტთან მიმართებით, რომელსაც ომბუდსმენის ინსტიტუტი ჰქვია. თუ ხელისუფლება აპირებდა თავისი კანდიდატის დასახელებას, ეს ადამიანი უნდა ყოფილიყო ის პიროვნება, ვინც ხალხის მხრიდან არის ნდობით აღჭურვილი.

***– სახელდებოდა ასეთი კანდიდატი?***

– სურვილი რომ ყოფილიყო, ასეთ კანდიდატს მოძებნიდნენ. ხელისუფლებას უნდა გამოეხატა ხალხის ნება და არა ის, რომ ერთ პატარა ჯგუფს პარლამენტში თუ სახელისუფლებო იერარქიაში თავისი ინტერესები აქვს და ეს ინსტიტუტი სჭირდება იმისთვის, რომ თავისი პოზიციები გაიმყაროს სხვადასხვა დიპლომატიურ კორპუსთან და ქვეყნის გარეთ არსებულ კონკრეტულ პოლიტიკოსებთან. არ შეიძლება ამ ინსტიტუტის ასე დაკნინება. მაშინ სახელი უნდა შეუცვალონ და ეს არ უნდა იყოს სახალხო დამცველი.

***– რატომ, ხელისუფლების ინტერესების გამტარებელი იქნება?***

– შეუცვალონ სახელი და მაშინ ხელისუფლებასთან მედიატორის სტატუსი მიანიჭონ ამ ადამიანს. შეარჩიო ლომჯარია და ხელისუფლებამ მას გამოუცხადოს ნდობა! ხელისუფლებაში არის „ქართული ოცნება“, რომელიც მოსულია ხალხის ნებაზე დაყრდნობით. მეექვსე წელი დაიწყო, რაც ხალხი უცხადებს ნდობას „ქართულ ოცნებას“ და ეს სულაც არ არის იმ ხალხის დამსახურება, იმ ვიწრო ჯგუფის, რომელიც შემთხვევით მოხვდა ხელისუფლებაში და დღეს თავს უფლებას აძლევს, დაასახელოს ომბუდსმენობის კანდიდატი.

მათ შეეძლოთ, ეპოვათ ისეთი კანდიდატი, რომელსაც „ქართული ოცნების“ მხარდამჭერები სიხარულითა და დიდი ნდობით მიიღებდნენ, მაგრამ ისინი წავიდნენ სულ სხვა გზით.

***– რა გზით?***

– ისინი ცდილობენ, გარკვეული „გალაჩკა“ დაიწერონ სხვადასხვა პიროვნებასთან და სახალხო დამცველის ინსტიტუტი სამომავლოდ თავიანთი კარიერის გზაზე გამოიყენონ. ეს არის ძალიან ცუდი, იმიტომ რომ ლომჯარია არც როგორც უფლებადამცველი გამოირჩეოდა და ხალხის ნდობას არ იმსახურებდა, ლომჯარია არ გამოირჩეოდა არც როგორც ოპოზიციონერი, რომელიც თავის პოზიციაზე იდგა და თუნდაც ჩვენთვის მიუღებელ, მაგრამ რაღაც პოზიციას ბოლომდე იცავდა. ეს იყო, უბრალოდ, ადამიანი, რომელიც არც მწვადს წვავდა და არც შამფურს, ყოველთვის ცდილობდა, რაღაცა სტატუსი და თანამდებობა ჰქონოდა! ყოველთვის ყველაფერს აკეთებდა იმისთვის, რომ, საბოლოო ჯამში, ჰქონოდა ხელფასი, თვითონ ეცხოვრა ნორმალურად და ყოფილიყო მოტივტივე მდგომარეობაში.

***– მაშინ რა ნიშნით შეირჩა? ამბობენ, რომ მისი კანდიდატურა წარადგინეს არასამთავრობო ორგანიზაციებმაც და ეს კანდიდატურა ინტერესთა თანხვედრაში მოვიდა ხელისუფლებასთან.***

– კარგით რა, რომელმა არასამთავრობო ორგანიზაციებმა?! ჩვენ კარგად ვიცით, ეს არასამთავრობოები ვინ არიან, საიდან ფინანსდებიან, რას აკეთებენ და რა როლი აქვთ ნათამაშები საქართველოს უახლეს ისტორიაში. ყველამ ყველაფერი ვიცით ძალიან კარგად და არ გვინდა ახლა ამ ანტურაჟების შექმნა. თუ ასახელებენ და გაჰყავთ, მაშინ, კეთილი ინებონ და სიმართლე თქვან.

***– რომელი სიმართლე?***

– რომ ამისთვის და ამისთვის არის საჭირო ეს ყველაფერი. ახლა შენ სახალხო დამცველი აირჩიო, ანუ ჩემი, ჩემი ოჯახის წევრების, მეზობლების, მეგობრების დამცველი და პარალელურ რეჟიმში თავს მისცე უფლება, ნაცარი შემაყარო თვალებში, ამის ნებას არავინ მივცემთ.

ნინო ლომჯარია ვერ იქნება სახალხო დამცველი! ამის პირობას გაძლევთ მე! ვერ იქნება! მას არ ექნება ნდობა და ის იქნება ბევრად უფრო ცუდ მდგომარეობაში, ვიდრე იყო ნანუაშვილი. ხალხი წინასწარ იქნება შემზადებული იმისათვის, რომ მას უნდა ჩაუდგნენ ოპოზიციაში და ომბუდსმენი, რომელსაც საკუთარი ხალხი არ იღებს, საკუთარი ხალხი უდგება ოპოზიციაში და აკვირდება ლუპით, ის ვერ იომბუდსმენებს. ეს თემა აქედანვე დამთავრებულია. მკვდრადშობილი ომბუდსმენია ნინო ლომჯარია!

– „ოცნებაშიც“ არ არის ამ კანდიდატზე ერთსულოვნება, გუნდში დაპირისპირება გამოიწვია მისმა კანდიდატურამ.

– დიახ, ასეა, ერთი პატარა ჯგუფის კანდიდატურაა, რომელსაც სამომავლო კარიერისთვის სჭირდება, ეს ინსტიტუტი ჰყავდეს ამოფარებული და სათავისოდ ეგულებოდეს.

ასე არ შეიძლება! ნორმალურ ქვეყანაში ამხელა ინსტიტუტებზე, რომლებიც ფინანსდებიან ჩვენი ჯიბიდან, არ შეიძლება, ვიღაცამ მიიღოს გადაწყვეტილება. ეს მცირე ჯგუფი კი ნამდვილად ვიღაცები არიან. ვინც გამოაცხადა მისი კანდიდატურა და ვინც ლობირებას უწევს, ისინი არიან ვიღაცები ქართულ პოლიტიკაში! არ შეიძლება, ამ ხალხის პირადი კარიერის, ამათი სამომავლო გეგმების გამო ადგე და ქართველ ხალხს თვალში ნაცარი შეაყარო!

# მაღალი იერარქიის სასულიერო პირები ვაშინგტონში გაემგზავრნენ



მაღალი იერარქიის სასულიერო პირების ვიზიტი ვაშინგტონში დაიწყო. ვიზიტის პირველ დღეს დელეგაციის წევრებმა ღირსშესანიშნაობები მოინახულეს, ეწვივნენ კაპიტოლიუმს, ვაშინგტონის მონუმენტსა და ლინკოლნის მემორიალს.

აშშ-ში ვიზიტი განვითარებისა და დემოკრატიის ცენტრის ინიციატივითა და ორგანიზებით 24 ნოემბერს დაიწყო და 29 ნოემბრის ჩათვლით გაგრძელდება.

პროექტი საქართველოში დიდი ბრიტანეთის საელჩოს ფინანსური მხარდაჭერით ხორციელდება. შემსწავლელი ვიზიტისა და საერთაშორისო ინტერრელიგიური კონფერენციის მხარდამჭერები არიან: ნაციონალური ფონდი დემოკრატიისთვის, აშშ-ში საქართველოს საელჩო, საქართველოში აშშ-ის საელჩო, ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი და ნატოსა და ევროკავშირის შესახებ საინფორმაციო ცენტრი.

პირველი რადიო

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# გადადგება თუ არა ილია II 25 დეკემბერს პატრიარქობიდან

23 ნოემბერს პატრიარქმა, სინოდის წევრებთან შეუთანხმებლად, მოსაყდრედ მეუფე შიო დაასახელა.

მეუფე შიო რომ პატრიარქის მემკვიდრე იქნებოდა, ამის შესახებ მედიაში ინფორმაცია ჯერ კიდევ ოქტომბრის დასაწყისში გავრცელდა. ანალიტიკოსი გოჩა მირცხულავა ერთ-ერთ ეპისკოპოსზე დაყრდნობით „ქრონიკა +“-ში წერდა, რომ მიმდინარეობდა სინოდის წევრების დამუშავება, რათა მათ პატრიარქის თანამდებობაზე მეუფე შიოსთვის დაეჭირათ მხარი.

ვინ აწარმოებდა მოლაპარაკებებს მაღალი იერარქიის სასულიერო პირებთან, როგორ ისარგებლა რუსეთმა ციანიდის საქმით, რა კავშირშია ამ პროცესებთან ლევან ვასაძე, რატომ ჩაფრინდა მოსკოვში გიორგობამდე რამდენიმე დღით ადრე მეუფე შიო, რას ითხოვდა მოსკოვიდან ჩამოსული პატრიარქ კირილის ემისარი ილარიონი, რით დააშანტაჟეს პატრიარქი? – ამის შესახებ „ახალ თაობას“ ანალიტიკოსი გოჩა მირცხულავა ესაუბრება.

## გოჩა მირცხულავა: „პატრიარქზე ფსიქოლოგიური ზეწოლა ხორციელდებოდა“

შორენა მარსაგიშვილი



***– ოქტომბრის დასაწყისში თქვენ დაწერეთ, რომ რუსეთი საქართველოს პატრიარქად მეუფე შიოს ამზადებდა. მაშინ ეს ინფორმაცია ყველამ უარყო, რამდენიმე დღის წინ კი გვამცნეს, რომ მეუფე შიო პატრიარქის მოსაყდრე გახდა. უფრო დეტალურად შეგიძლიათ გვითხრათ რამე ამის შესახებ?***

– სადღაც სექტემბრის ბოლოს ნაცნობის მეშვეობით დამიკავშირდა ერთ-ერთი გავლენიანი მიტროპოლიტი. მიიღო რა იმის გარანტიები, რომ მის ვინაობას არ გავამჟღავნებდი, დეტალურად მომიყვა, თუ რა პროცესები მიმდინარეობდა საპატრიარქოში. მისი თქმით, მეუფე შიოს პატრიარქად ამზადებდნენ და ამაზე სინოდის წევრებთან მიმდინარეობდა მოლაპარაკებები.

პატრიარქის არჩევა მხოლოდ სინოდის წევრებზე არ არის დამოკიდებული. ახალ პატრიარქს საეკლესიო კრება ირჩევს. აქედან გამომდინარე, მოლაპარაკებებს ასევე აწარმოებდნენ შედარებით დაბალი რანგის სასულიერო პირებთანაც. მიტროპოლიტი ამ მოლაპარაკებებში გარკვეულ საფრთხეებს ხედავდა.

ბუნებრივია, მას ვკითხე, რატომ ხედავდა ამაში საფრთხეებს და რატომ თვლიდა, რომ მეუფე შიო რუსეთის მიერ ინიცირებული პერსონაა. მან მითხრა, როცა ჩემთან მოსალაპარაკებლად მოვიდნენ, მეც ვიკითხე, თუ ვინ იდგა ამის უკან. მიპასუხეს, რომ ამის უკან დგას ლევან ვასაძე. ეს ადამიანი, მოგეხსენებათ, დუგინთან არის დაკავშირებული, ის კიდევ რუსეთის პატრიარქ კირილთან არის კავშირში.

იქ კიდევ რამდენიმე სერიოზული რამეები ითქვა, რომელთა გახმაურების უფლებასაც ჩემს თავს არ ვაძლევ.

მხოლოდ ის შემიძლია ვთქვა, რომ ძალიან საინტერესო პროცესები უძღოდა ამას წინ. ქორეპისკოპოსი შიო არასდროს აქტიურობდა.

***– მეუფე შიო მართლა არ აქტიურობდა და არც კი ჩანდა.***

– მეუფე შიო არ აქტიურობდა სინოდის ბოლოსწინა სხდომამდე. ეს სხდომა მარტში გაიმართა. ეს სხდომა იმით იყო მნიშვნელოვანი, რომ ჭყონდიდელი მიტროპოლიტი საპატრიარქოს ტელევიზიის დირექტორობიდან გადააყენეს. ამ სხდომის მდივანი მეუფე შიო გახლდათ.

როგორც ამბობენ, განჩინება მეუფე პეტრეს მიმართ თავიდან იყო ძალიან მკაცრი. ეს განჩინება მეუფე შიომ და პროტოპრესვიტერმა გიორგი ზვიადაძემ მოამზადეს. ის არ გავიდა.

***– რა ეწერა ამ განჩინებაში?***

– საუბარი იყო მეუფე პეტრესთვის ჭყონდიდელობის ჩამორთმევაზე და ა.შ. მაშინ ეს განჩინება არ გავიდა და ტელევიზიიდან გაშვება აკმარეს. მეუფე პეტრეს ამბავი ამასთან არაფერ შუაშია. ეს იმიტომ გავიხსენე, რომ მეუფე შიო ფიგურანტად მაშინ გამოჩნდა.

დიდი ხანია საუბრობენ იმაზე, რომ მას რუსეთთან აქვს კავშირები და არა მხოლოდ იმის გამო, რომ მას განათლება რუსეთში აქვს მიღებული. ეს დანაშაული არ არის, მით უმეტეს, რომ საეკლესიო სწავლების თვალსაზრისით რუსეთი საკმაოდ ძლიერია.

როდესაც მეუფე შიოს რუსულ კავშირებზე ვსაუბრობდით, ერთ-ერთმა მიტროპოლიტმა ჩემთან საუბარში აღნიშნა, რომ ქორეპისკოპოს შიოს ლევან ვასაძესთან აქვს ბიზნესკავშირები.

ყველაზე მნიშვნელოვანი მომენტი ჩემთვის იყო მეუფის მიერ დაცული დისერტაცია. მას დისერტაცია ალექსი შუშანიას ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ აქვს დაცული. ალექსი შუშანია ქართული ეკლესიის მიერ წმინდანად არის შერაცხული. ამ დისერტაციაში ერთი სიტყვაც კი არ არის ნათქვამი რუსეთის წინააღმდეგ ალექსი შუშანიას თავგადაკლულ ბრძოლაზე. პირიქით, მთელი რიგი წყაროები, რომლებიც უკავშირდება ალექსი შუშანიასა და მისი თანამებრძოლების – ამბროსი ხელაიასა და პატრიარქ კირიონის მოღვაწეობას, ამოღებულია. დისერტაციაში აქცენტი სულ სხვა რამეზეა გაკეთებული.

## „მოსაყდრედ გამოცხადებამდე რამდენიმე დღით ადრე მეუფე შიო მოულოდნელად გაფრინდა მოსკოვში, საიდანაც იმავე დღეს დაბრუნდა“

ამ დისერტაციასთან დაკავშირებით მეუფე შიოს ჰქონდა რაღაც პრობლემები, რომლებიც თავად ყველაზე კარგად იცის და მე ამაზე საუბრისგან თავს შევიკავებ, მაგრამ ალექსი შუშანიას რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლის მიჩქმალვა ნიშნავს იმას, რომ ის მთელ რიგ საეკლესიო და პოლიტიკურ კონიუნქტურას უწევდა ანგარიშს.

***– როგორც სასულიერო პირები და თეოლოგები განმარტავენ, თანამოსაყდრის დანიშვნა იმ შემთხვევაში ხდება, როცა პატრიარქი უუნაროა. პატრიარქი უუნარო ნამდვილად არ არის. თქვენი აზრით, რაშია საქმე?***

– მოსაყრდის დანიშვნის მეორე დღეს იმ მიტროპოლიტს, რომელსაც სექტემბერში ვესაუბრე, კიდევ ერთხელ ვთხოვე შეხვედრა, მინდოდა, უკეთ გავრკვეულიყავი სიტუაციაში. მეუფე შიოს შესაძლო გაპატრიარქებაზე დაწერილი სტატიის მეორე დღეს სინოდის სხდომა გაიმართა. როგორც მიტროპოლიტმა მითხრა, სინოდის სხდომაზე ამ თემაზე საუბარი არ ყოფილა, თუმცა სინოდის წევრები კულუარებში ამ თემაზე საუბრობდნენ და გარკვეულ უკმაყოფილებასაც გამოთქვამდნენ. მიტროპოლიტის თქმითვე, სტატიის გამოქვეყნების შემდეგ შეწყდა მეუფე შიოს სასარგებლოდ სინოდის წევრების ინდივიდუალური დამუშავება.

სასულიერო პირების დამუშავება შეწყდა, მაგრამ მოხდა სხვა მნიშვნელოვანი ამბავი. 1 ნოემბერს საქართველოში ჩამოვიდა ვოლოკოლამსკის მიტროპოლიტი ილარიონი, რომელიც რუსეთის საპატრიარქოს საგარეო საქმეებს წარმართავს და პატრიარქ კირილის შემდეგ იქ ყველაზე გავლენიანი სასულიერო პირია.

ილარიონის თბილისში ჩამოსვლის ოფიციალურ ვერსიად დასახელდა ილია II-ის მიწვევა რუსეთში საზეიმო ღონისძიებაზე. იქ პატრიარქობის აღდგენის 100 წლისთავს აღნიშნავდნენ. მეუფე ილარიონი შეხვდა საქართველოს პატრიარქსაც. ამ შეხვედრისას დაისვა სხვა საკითხიც. საუბარია აფხაზეთის პრობლემაზე.

მოგეხსენებათ, ახალ ათონში არის სვიმონ კანანელის სახელობის მონასტერი. ამ მონასტერს რუსეთის საპატრიარქო საკუთარ სიწმინდედ მიიჩნევს. ამ მონასტერთან დაკავშირებით პრობლემა პირველად 2011 წელს შეიქმნა. მაშინ საქართველოსა და რუსეთის საპატრიარქოები შეთანხმდნენ აფხაზეთში არსებული საეკლესიო პრობლემის მოგვარებაზე.

მართალია, ქართული მხარე იცავდა თავის პოზიციას, მაგრამ არაფერი გამოვიდა. აფხაზი სასულიერო პირების ნაწილმა მოახდინეს სვიმონ კანანელის სახელობის მონასტრის ოკუპაცია.

***– მათ ცალკე ეპარქიაც შექმნეს – წმინდა სამიტროპოლიო.***

– ამ წმინდა სამიტროპოლიოს ცენტრი არის ახალ ათონში. რუსები მათ იქიდან ძალით ვერ ყრიან. სოხუმის ხელისუფლება ამბობს, რომ სასულიერო პირებს მონასტრიდან ტანკებით ვერ გამოყრიან. შესაბამისად, რაღაც სხვა გადაწყვეტილება უნდა იყოს მიღებული. თბილისში ვიზიტად მყოფმა მეუფე ილარიონმა ეს საკითხი ისეც წამოსწია და ჩვენს პატრიარქს სთხოვა, რომ აფხაზეთში არსებულ ვითარებასთან დაკავშირებით საქართველოსა და რუსეთის საპატრიარქოებს შორის გაფორმებულიყო უნია, რაც შეთანხმებას ნიშნავს.



რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, ილია II-მ ილარიონს უთხრა, რომ უმჯობესი იქნებოდა, თუ ამ თემაზე მოსკოვში ვიზიტისას ისაუბრებდნენ. ამით ჩვენმა პატრიარქმა კონკრეტული პასუხის გაცემას თავი აარიდა. ამის საპასუხოდ რუსეთის საპატრიარქოს წარმომადგენელმა განაცხადა, რომ კარგი იქნებოდა, თუ ამ მიმართულებით სამუშაო ჯგუფი შეიქმნებოდა და, რადგანაც ილია II ხშირად უჩივის ჯანმრთელობას, ამ პროცესისთვის ქართულ მხარეს ორივე ეკლესიისთვის მისაღები პირი გამოეყო.

პატრიარქმა იკითხა, თუ ვის მიიჩნევს რუსული ეკლესია სანდო პიროვნებად. მეუფე ილარიონმა განაცხადა, რომ ასეთები ქართულ ეკლესიაში მრავლად არიან. როცა კონკრეტული პიროვნების დასახელება მოსთხოვეს, მინიშნება გაკეთდა მეუფე შიოზე.

როგორც ჩემი ნაცნობი მიტროპოლიტი ყვება, პატრიარქმა არც ამ თხოვნაზე გასცა რუსეთის წარგზავნილს კონკრეტული პასუხი, რითიც უკმაყოფილო დარჩენილა ილარიონი. მან საქართველოში სულ რამდენიმე საათი დაჰყო და უკან, მოსკოვში გაფრინდა. მისი წასვლის შემდეგ ილია II-ზე დაიწყო ფორსირებული ფსიქოლოგიური შეტევა.

***– ვინ ახორციელებდა ამ შეტევას?***

– მისი გარემოცვა. როგორც მიტროპოლიტი მეუბნება, მას ეუბნებოდნენ, თუ შეთანხმებას არ გავაფორმებთ, შესაძლებელია, რუსეთმა რადიკალური ნაბიჯები გადადგას და აფხაზური ეკლესიის ავტოკეფალია აღიაროსო. სხვა არგუმენტებსაც უსახელებდნენ. როგორც ჩემი წყარო ამბობს, პატრიარქი ზეწოლის ქვეშ იყო და მან მიიღო გადაწყვეტილება ერთობლივი კომისიის შექმნის თაობაზე.

როგორც ირკვევა, მოსაყდრედ გამოცხადებამდე რამდენიმე დღით ადრე მეუფე შიო მოულოდნელად გაფრინდა მოსკოვში, საიდანაც იმავე დღეს დაბრუნდა.

***– იცის ვინმემ, რატომ გაფრინდა მეუფე შიო მოსკოვში?***

– ამას ვერ გეტყვით. შესაძლოა, მან ერთობლივ სამუშაო ჯგუფზე ან მოსაყდრედ დასახელებასთან დაკავშირებით კონკრეტული მესიჯები ჩამოიტანა რუსეთის საპატრიარქოდან. ეს მხოლოდ ვარაუდებია. დანამდვილებით არ შემგვიძლია იმის თქმა, რომ მან რუსეთიდან რაღაც გარანტიები მიიღო. ფაქტი ისაა, რომ ამ ყველაფრის შემდეგ ილია II-მ მეუფე შიო მოსაყდრედ გამოაცხადა.

***– მეუფე შიოს მოსაყდრედ დასახელებას დიდი მითქმა-მოთქმა მოჰყვა. ათასი ვერსია მოვისმინეთ, მათ შორის ისიც, რომ შესაძლოა პატრიარქი 25 დეკემბერს, თავისი აღსაყდრების 40 წლისთავზე, გადადგეს. ასეთი რამე მოსალოდნელია?***

– ვერ გეტყვით. ჩვენი პატრიარქი საკმაოდ არაორდინარული პიროვნებაა და მოულოდნელი გადაწყვეტილებები და განცხადებები ახასიათებს. ასე რომ, მოულოდნელი არაფერია. ასეთი რამე რომის პაპთან დაკავშირებით ვნახეთ, მაგრამ ქართულ სინამდვილეში მსგავსი შემთხვევა არ მახსენდება.

მოსაყდრის დასახელებას პატრიარქის მხრიდან სადღაც უნდა მოჰყვეს ასეთი ნაბიჯი, თუმცა მე ვისურვებდი, რომ გარკვეულ ეტაპამდე პატრიარქმა თანამდებობა არ დატოვოს. ის გადადგომას თუ აპირებს, იქამდე მაინც უნდა შეინარჩუნოს თანამდებობა, ვიდრე მღვდელმთავრების ვნებათაღელვა არ ჩაცხრება. მეუფე შიოს მოსაყდრედ დასახელებას სერიოზული ამბები მოჰყვა. მათ ახლა ცივი გონებით განსჯა უჭირთ და, სანამ ეს ასეა, საპატრიარქოში ფორმალური ორხელისუფლებიანობა უნდა შენარჩუნდეს.

ადრე თუ გვიან მათ მაინც მოუწევთ ახალი პატრიარქის არჩევა და ის შესაძლოა სულაც არ იყოს მეუფე შიო.

***– ზემოთ თქვენ მითხარით, რომ რუსული ეკლესიიდან სინოდის წევრების დამუშავება მიმდინარეობდა მეუფე შიოს სასარგებლოდ. ეს დამუშავება იმისთვის საკმარისი არ არის, რომ მათ მიტროპოლიტი შიო აირჩიონ პატრიარქად?***

– სინოდის წევრების დამუშავება ახლა ახალი ძალით წავა. ჩვენს ეკლესიაზე რუსეთის საპატრიარქოს გავლენას თუ გავითვალისწინებთ, შეგვიძლია ვთქვათ, რომ სხვა ნებისმიერ კანდიდატთან შედარებით მეუფე შიოს მნიშვნელოვანი ფორა აქვს.

აქ ყველაზე სერიოზული პრობლემა ისაა, რომ ჩვენ არ ვიცით მეუფე შიოს ხედვა ეკლესიის განვითარებასთან დაკავშირებით, არ ვიცით, როგორია მისი ხედვა მთელ რიგ კონცეპტუალურ საკითხებთან მიმართებით, არ ვიცით, რას ფიქრობს ის ქვეყნის საგარეო კურსთან დაკავშირებით, არ ვიცით, რას ფიქრობს ადამიანის უფლებების დაცვაზე.

ყველაზე მეტად მაინტერესებს მისი შეხედულებები დოგმატურ და კანონიკურ მომენტებთან დაკავშირებით, რომლებიც მთელ რიგ მართლმადიდებელ ეკლესიებში საკმაოდ არქაულად ითვლება.

გასული საუკუნის 20-იან წლებში ქართულმა მართლმადიდებელმა საეკლესიო კრებამ გადაწყვიტა, რომ შობა 25 დეკემბერს აღენიშნა. ეს გადაწყვეტილება 1927 წელს შეცვალეს, მიზეზად მოსახლეობის არასათანადო ინფორმირებულობა დაასახელეს. ამის შემდეგ ძალიან დიდი დრო გავიდა, მაგრამ, რუსული ეკლესიის გავლენით, ქართულმა ეკლესიამ ვერ უზრუნველყო წმინდანებად შერაცხული კათოლიკოსების გადაწყვეტილების აღსრულება.

გასული საუკუნის 20-იანი წლების მერე ბევრი რამე შეიცვალა და ინფორმაცია დეფიციტი აღარ არის. მოსახლეობისთვის რაღაცების განმარტება ბევრად იოლია. თან ეს გადაწყვეტილება წმინდანებად შერაცხულ ამბროსი ხელაიასა და კირიონს აქვთ მიღებული. მკრეხელობა არ მინდა, მაგრამ ახლანდელი ეპისკოპოსების ნაწილი იმაშიც კი ვერ ერკვევა, როგორ ხდება ახალი პატრიარქის არჩევა. არ მესმის, ამ ადამიანებმა ამბროსი ხელაიასა და კირიონზე წინ როგორ უნდა დააყენონ თავი. ამ ადამიანებმა გასული საუკუნის დასაწყისში მიიღეს პროგრესული გადაწყვეტილება.

ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანი იქნება, რას ფიქრობს ამაზე მეუფე შიო. ამ საკითხის განუხილველობა რუსულ ეკლესიასთან დისონანსში მოსვლას უკავშირდება. ისინი არ უჭერენ მხარს, რომ შობა 25 დეკემბერს აღინიშნოს. ჩვენ ასეთი გადაწყვეტილება მიღებული გვქონდა, მაგრამ შევცვალეთ, მიზეზად კი, როგორც უკვე გითხარით, მოსახლეობის არასათანადო ინფორმირებულობა დაასახელეს. ახლა ამ მიზეზს ველარ მოიშველიებენ.

***– რასაც ციანიდზე ლაპარაკობენ, მაგის მეოთხედი რომ შობის თარიღზე ისაუბრონ, მოსახლეობა ყველაფერს კარგად გაიგებს.***

– რა თქმა უნდა, გაიგებს. ვიმეორებ, ჩვენ ეს გადაწყვეტილება უკვე მიღებული გვაქვს და მხოლოდ მასთან დაბრუნებაა საჭირო.

***– ციანიდის საქმე ვახსენეთ და ამის უკანაც რუსეთი ხომ არ დგას?***

– ამის უკან რუსეთი არ დგას, მაგრამ ამ საქმით იხეირა რუსეთმა. ამ საქმით სერიოზული ჩრდილი მიადგათ ქართული ეკლესიის საკმაოდ მაღალ იერარქებს – მეუფე იაკობს, მეუფე დიმიტრის, მეუფე პეტრეს. გარდა იმისა, რომ ჩირქი მოეცხოთ, ისინი გზიდან ჩამოიშორეს. უფრო ადრე მეუფე გერასიმე ჩააჩოჩეს.

ქართულ ეკლესიაში გვერდიდან მართვადი ქაოსია. მეუფე იაკობის ამბიციებმა ვიღაცებს საშუალება მისცა, რაღაც პროვოკაციები მოეწყოთ, რამაც მეუფე შიოს გაუხსნა გზა. მეუფე შიოსთან დაკავშირებით ერთი მნიშვნელოვანი დეტალიც უნდა ვთქვა. ის ციანიდის საქმეზე დუმილს ინარჩუნებს. დუმს მისი მეგობარი ლევან ვასაძეც. მისგან ასეთ სიჩუმეს მიჩვეული არ ვართ. ის იმაზეც კი აკეთებს კომენტარს, პეპელა თუ ოდნავ გვერდზე გადახრილი გაიფრენს. ამიტომ არის მისი დუმილი საეჭვო. მეუფე შიო ვასაძის მეგობარია, ვასაძე – დუგინის, დუგინი კი რუსეთის საპატრიარქოს წარმოადგენს.

# ვახტანგ გომელაური: „არის ეჭვი, რომ სპეცოპერაციისას ჩატაევია მოკლული“

## რატომ დაწესდა ლარსის საკონტროლო-გამშვებ პუნქტზე შეზღუდვები ჩეჩნებისა და ინგუშებისთვის

შორენა მარსაგიშვილი



თბილისში, გაბრიელ სალოსის ქუჩაზე ჩატარებულ სპეცოპერაციასთან დაკავშირებით კვლავ უამრავი კითხვა არსებობს. ძალოვანი უწყებები დღემდე ასაიდუმლოებენ როგორც ლიკვიდირებულების, ასევე დაკავებულის ვინაობას. ერთ-ერთი ვერსიით, დაკავებული ს.დ. ახმედ ჩატაევის პირადი მცველი სურხო დუდაევია. ამან კიდევ უფრო გაამყარა ის მოსაზრება, რომ ერთ-ერთი ლიკვიდირებული ახმედ ჩატაევია.

ს.დ.-ს ადვოკატი მინდია ქარქაშაძე კატეგორიულად უარყოფს მოსაზრებას, რომ მისი დაცვის ქვეშ მყოფი სურხო დუდაევია. სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსი ვახტანგ გომელაური არ ადასტურებს, რომ ლიკვიდირებულთაგან ერთ-ერთი ჩატაევია. ამასთან, ის ამ ინფორმაციას არც უარყოფს.

გომელაური ამბობს, რომ ეჭვი არსებობს, თუმცა ჯერჯერობით დადასტურებით თქმა არ შეუძლია. გომელაურის ინფორმაციით, მიმდინარეობს ექსპერტიზა. მისივე განცხადებით, საგამოძიებო პროცესში ჩართული არიან ამერიკის შეერთებული შტატების შესაბამისი სამსახურები.

სუსის უფროსის თქმითვე, რაღაც მასშტაბურის დაგეგმვა მიმდინარეობდა და საქართველომ მისი აცილება შეძლო.

— სპეცოპერაციის ახალ დეტალებზე ჯერ ვერ ვისაუბრებ, თუმცა შემიძლია გითხრათ, რომ ჩაერთნენ ჩვენი სტრატეგიული პარტნიორები, ამერიკული მხარე, ჩართული არიან შესაბამისი სამსახურები. მათ ჩვენზე მეტად გამოცდილი სპეციალისტები ჰყავთ როგორც საექსპერტო, ასევე საგამოძიებო მიმართულებითაც და ერთობლივად ვაწარმოებთ გამოძიებას. ეჭვია, რომ ჩატაევი შეიძლება იყოს, მაგრამ დადასტურებით ვიტყვით ექსპერტიზების შემდეგ, როდესაც გაკეთდება დნმ-ის ანალიზი, იქიდან გამომდინარე გვექნება ზუსტი პასუხი, ეს ჩატაევი იყო თუ არა.

ჯერ წინასწარ ვერ ვიტყვი, იქიდან გამომდინარე, რომ გამოძიება მიმდინარეობს და ცოტა რთულია ამ საფრთხეებზე საუბარი, თუმცა, იყო ოპერატიული ინფორმაციები, რომ რაღაც მასშტაბური ღონისძიებების დაგეგმვა მიდიოდა. მე მგონი, ავიცილეთ თავიდან, — განაცხადა გომელაურმა.

მცირე კომენტარით შემოიფარგლა შინაგან საქმეთა მინისტრი. გიორგი გახარიას თქმით, არის სერიოზული ეჭვი, რომ ლიკვიდირებულებს საერთაშორისო ტერორიზმთან ჰქონდათ კავშირი.

— ახლა აქ ჩართული იქნება ყველა, ვინც შეძლებს, დაგვეხმაროს. ყველას კარგად გვესმის, რომ აქ არსებობს სერიოზული ეჭვი საერთაშორისო ტერორიზმთან კავშირებისა, — განაცხადა შინაგან საქმეთა მინისტრმა.

❖ ❖ ❖

იმ დროს, როცა თბილისში ლიკვიდირებულების ვინაობას ვერ ადგენენ, ლარსის საკონტროლო-გამშვებ პუნქტზე შეზღუდვები დაწესდა ჩეჩენი და ინგუში მამაკაცებისთვის. გავრცელებული ინფორმაციით, ლიკვიდირებული პირები ეთნიკური ჩეჩნები იყვნენ. როგორც ჩანს, ქართული მხარე სიფრთხილეს იჩენს.

ასეთი შეზღუდვები ვაინახებისთვის ქართულმა მხარემ 2014 წელსაც დააწესა. მაშინ თბილისმა მოსკოვის თხოვნა გაითვალისწინა. 2014 წელს სოჭში ზამთრის ოლიმპიადა ტარდებოდა. ჩეჩნები ტერაქტებით იმუქრებოდნენ. მოსკოვი შიშობდა, რომ ტერორისტები საქართველოდან შევიდოდნენ მათთან და ამიტომაც ითხოვეს შეზღუდვების დაწესება.

# სკანდალი „ლენდოს“ დაყაჩაღების საქმეში

**ზუგდიდში მიმდინარე წლის 16 მარტს მიკროსაფინანსო კომპანია „ლენდოს“ დაყაჩაღებაში ბრალდებული გიორგი კუკავა 9 თვეა, რაც საპატიმრო დაწესებულებაში იმყოფება. კუკავა დაპატიმრების დღიდან აცხადებდა, რომ უდანაშაულოა და პროკურატურა არ არის დაინტერესებული სიმართლის დადგენით.**

**საქმესთან დაკავშირებით სასამართლოზე მოწმეებიც დაიკითხნენ, რომელთა ჩვენებებიც გამოძიების ობიექტურობაში ეჭვებს ტოვებს.**

დღეს, 27 ნოემბერს, 10:00 საათზე, სასამართლო სხდომაა ჩანიშნული, მანამდე კი, როგორც „ნიუპოსტისთვის“ გახდა ცნობილი, სამხარაულის ექსპერტიზის ბიურომ დადო დასკვნა, რომლის მიხედვითაც, დაკავებულის თითის ანაბეჭდები არ ემთხვევა დანაშაულის ადგილიდან ამოღებულ ანაბეჭდებს, აღნიშნული ანაბეჭდები ეკუთვნის პირს, რომელმაც მეორე დანაშაულიც ჩაიდინა, კერძოდ კი საუბარია ასევე მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „ვივუსის“ დაყაჩაღებაზე.

„ნიუპოსტი“ გიორგი კუკავას ადვოკატ იოსებ ჯანაშიას დაუკავშირდა, რომელმაც განაცხადა, რომ სასამართლო პროცესი 27 ნოემბერს არის ჩანიშნული, პროკურატურა კი ვალდებულია, ექსპერტიზის დასკვნა წარადგინოს, მისივე თქმით, აღნიშნულის ფონზე, ბრალდების მხარეს დაკავებულის მიმართ არავითარი გამამტყუნებელი მტკიცებულება აღარ გააჩნია.

— გიორგის ანაბეჭდი თავიდანვე არ დაემთხვა, უბრალოდ, ახლა რა ანაბეჭდიც ამოღებული იყო, ის დაემთხვა სხვა პირის ანაბეჭდებს, რომელმაც მეორე დანაშაულიც ჩაიდინა, საუბარია „ვივუსის“ დაყაჩაღებაზე. სწორედ ამ პირის ანაბეჭდებს დაემთხვა, ჩვენ ჩავნიშნეთ ექსპერტიზა. როგორ გავიდა პროკურატურა გიორგი კუკავას კვალზე, ეს მათ უნდა ჰკითხოთ. მტკიცებულებები არ იყო, ვითომ დაზარალებულმა დაადო ხელი კუკავას ამოცნობის დროს. უბრალოდ, მსგავსება იყო იმ პიროვნებასა და გიორგის შორის და თითქოს, დაზარალებული შეცდაო, მაგრამ დაზარალებული რომ დავკითხეთ ჩვენ, თავიდანვე თქვა, რომ მაშინაც არ ვიყავი დარწმუნებულიო, უბრალოდ, დამაძალეს და ასეთი ჩვენება მიმაცემინესო.

27 ნოემბერს დილით გვაქვს სასამართლო პროცესი და პროკურატურამ უნდა წარადგინოს ექსპერტიზის ეს დასკვნა. ფაქტობრივად, მას არანაირი მტკიცებულება აღარ აქვს და რასაც ვამბობდით, ამ დასკვნით დადასტურდა, — აღნიშნავს „ნიუპოსტთან“ საუბრისას ადვოკატი იოსებ ჯანაშია.

გიორგი კუკავას საქმეზე ორი მოწმე დაიკითხა — ორგანიზაციის ყოფილი და მოქმედი თანამშრომლები, რომლებიც მომხდარს შეესწრნენ.

ორივე მათგანმა სასამართლოს განუცხადა, რომ პოლიციისთვის მიცემული თავდაპირველი ჩვენების ერთი ეპიზოდის სიზუსტეში არც მაშინ იყვნენ დარწმუნებულები, როცა ოქმს ხელი მოაწერეს, და არც ახლა არიან. კერძოდ, არის თუ არა ბრალდებულის სკამზე მჯდომი ნამდვილად ის პირი, ვინც თავდასხმა განახორციელა.

„ლენდოს“ ყოფილმა თანამშრომელმა ანა კილასონიამ ყაჩაღობის დეტალები გაიხსენა.

მისი თქმით, იმ დღეს ოფისში ოთხნი მუშაობდნენ, მომხმარებლები კი ჩვეულებრივზე ნაკლებნი იყვნენ. დანაშაულის დროს მხოლოდ ხანდაზმულ ცოლ-ქმარს ემსახურებოდნენ, როცა კარი გაიღო და ერთი, 40 წლამდე პირი შემოვიდა ჭაობისფერი ნიღბის სწორებით სახეზე. მას, მოწმის დაკვირვებით, მკვეთრი ცისფერი თვალები, ღია, ჩამოშვებული წარბები და აწითლებული ღაწვები ჰქონდა. ტანზე შავი ქურთუკი ეცვა კაპიუშონით, ჯინსის შარვალი და თეთრძირიანი ფეხსაცმელი. ტანად მაღალი და გამხდარი იყო. ამბობს, რომ მან იარაღის მუქარით ფული წაიღო, გასვლის წინ კი ასეთი სიტყვები თქვა — „თქვენ ყველაფერი დაზღვეული გაქვთ, მე კიდევ შვილი საავადმყოფოში მიწევს“.




**ანაბეჭდები ბრალდებულ გიორგი კუკავასი არ არის და ის სხვა ყაჩაღობაში მონაწილე პირისაა**

„ლენდოს“ ყოფილი თანამშრომლის თქმით, მერე სამართალდამცველებიც მოვიდნენ. მიკროსაფინანსოს ბაზაში მანამდე თანამშრომლები ეძებდნენ ფოტოსურათს, რათა დაედგინათ, იყო თუ არა ეს პირი მათი კლიენტი, ან ადამიანი, ვისაც უარი უთხრეს თავის დროზე სესხის გაცემაზე და ამან გაანაწყენა.

მოწმემ სასამართლოს უთხრა, რომ ის ერთ-ერთმა პოლიციელმა გაიყვანა და ბრალდებულ გიორგი კუკავას ფოტოსურათი უჩვენა, თან ჰკითხა, ხომ არ ამოიცნო მასში დამყაჩაღებელი:

— მივამსგავსე, რადგან ძალიან მკვეთრი ცისფერი თვალები ჰქონდა იმ სურათზე. არ ვიცოდი, რომ დაკითხვამდე არ უნდა ეჩვენებინათ. მაგრამ დარწმუნებით ვერც მაშინ გეტყოდით და ვერც დღეს, რომ ის ადამიანი გიორგი კუკავა იყო. იმ პოლიციელმა მითხრა, ფოტო რომ გაჩვენე, არავის უთხრაო. მაშინ ვერ მივაქციე ამ სიტყვებს ყურადღება.

ანა კილასონიას თქმით, კიდევ ერთხელ ბრალდებულის ფოტოსურათი პოლიციის სამმართველოში ამოცნობამდეც უჩვენეს, უკვე ამოცნობაზე კი წინ სამი პირი დაუყენეს, რომელთაგან ორი საერთოდ არ შეესაბამებოდა მის მიერ აღწერილ ადამიანს. ერთი თავად კუკავა იყო.

— გამოიყენეს ჩემი ემოციური მდგომარეობა. შეიძლებოდა უდანაშაულო ადამიანისთვის დამედო ხელი. ემოციურ ფონზეა ჩემი ჩვენება დაწერილი, ფსიქოლოგიური ზეწოლის ქვეშ, — განუცხადა ანა კილასონიამ სასამართლოს.

მანვე აღნიშნა, რომ საბოლოოდ ხელი მოაწერა ოქმს, სადაც წერია — გიორგი კუკავა ნამდვილად ის ადამიანია, რომელმაც ყაჩაღობა ჩაიდინა.

მოწმის თქმით, შეეცადა, ჩანაწერი ყოფილიყო შემდეგნაირად, რომ არ იყო ამ ყველაფერში დარწმუნებული, თუმცა პასუხად მიიღო — ოქმი კი და არას გარეშე, სხვანაირად ვერ შედგებაო. ამბობს, მისთვის არავის განუმარტავს, ადვოკატის ყოლის უფლება რომ ჰქონდა, ვისგანაც სამართლებრივ რჩევას მიიღებდა. არც ის იცოდა, მეორე დღეს რომ იყო შესაძლებელი ამოცნობის პროცესის გავლა.

ანა კილასონიას თქმით, გიორგი კუკავა „ლენდოს“ კლიენტი არასდროს ყოფილა. არც არასდროს უთქვამთ მისთვის უარი სესხზე. მოწმისვე განმარტებით, ძალიან მძიმეა იმ შეგრძნებით ცხოვრება, რომ, შესაძლოა, განსასჯელის სკამზე შენი მონაწილეობით სრულიად უდანაშაულო ადამიანი აღმოჩნდეს, ამიტომ სურს, სიმართლე დადგინდეს.

მიკროსაფინანსო ორგანიზაციის ყოფილმა თანამშრომელმა კიდევ ერთ გარემოებაზე ისაუბრა — მის პოლიციელ დეიდაშვილს, რომელიც თბილისში მსახურობს, დაურეკეს და უთხრეს, ნათესავს ჩვენება არ შეეცვალა, თორემ ამას ანანებდნენ.

ანა კილასონიამ პროცესზე წარმოადგინა ზ.ფ-ს ფოტოსურათი, რომელიც დღეს ასევე ყაჩაღობისთვის იხდის სასჯელს და განმარტა, რომ ეს ადამიანი ძალიან ჰგავს იმ პირს, რომელიც „ლენდოს“ თავს დაესხა. თუმცა ვერც ამ შემთხვევაში ამტკიცებს დარწმუნებით, რომ დამნაშავე სწორედ ის არის და არა — გიორგი კუკავა.

სხდომაზე, ანა კილასონიას გარდა, ორგანიზაციის მოქმედი თანამშრომელი ლელა ბოჭორიშვილიც დაიკითხა.

მათი ჩვენებები თითქმის იდენტური იყო. მანაც აღნიშნა, რომ არც ის არის დარწმუნებული გამოძიებისთვის მიცემული თავდაპირველი ჩვენების სიზუსტეში, რომლის თანახმადაც, განსასჯელის სკამზე მჯდომი დამნაშავეა მოცემულ საქმეში.

**ნიუპოსტი**

# ცხინვალის იზოლატორიდან გიორგი გიუნაშვილი გაათავისუფლეს

## მურატ ჯიოევი: „ხაჯიმბამ ბიბილოვს სთხოვა, აფხაზეთის მოქალაქეში გადასაცვლელად გიუნაშვილი შეეწყალებინა“

გუშინ, 26 ნოემბერს, ცხინვალის იზოლატორიდან საქართველოს მოქალაქე გიორგი გიუნაშვილი გაათავისუფლეს.

ის ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენლებს გადაეცა.

გიორგი გიუნაშვილს სოფელ ერგნეთში სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე კახაბერ ქემოკლიძე, ასევე შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის სახელმწიფო მინისტრის აპარატისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლები დახვდნენ და სახლში მიაცილეს.

გიორგი გიუნაშვილი ამჟამად საკუთარ ოჯახში, იძულებით გადაადგილებულ პირთა დროებით დასახლებაში იმყოფება.

— გორის რაიონის სოფელ დისევში მცხოვრები გიორგი გიუნაშვილი 2016 წლის 8 ივნისს დააკავეს. მისი



გათავისუფლების საკითხი მუდმივად განიხილებოდა ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებებსა და ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის ჯგუფის შეხვედრაზე სოფელ ერგნეთში, — ნათქვამია სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

❖ ❖ ❖

ოკუპირებული ცხინვალის საპატიმროდან გიორგი გიუნაშვილის გათავისუფლებასთან დაკავშირებით სააგენტო „რესი“ ინფორმაციას ავრცელებს.

გამოცემის ინფორმაციით, მსჯავრდებულ გიორგი გიუნაშვილის საქართველოს ხელისუფლებისთვის გადაცემა ადმინისტრაციულ საზღვარზე, სოფელ ერგნეთის ტერიტორიაზე მოხდა.

„გიუნაშვილი, რომელიც სასჯელს „დივერსიულ-ტერორისტულ საქმიანობაში მონაწილეობის ბრალდებით“ სამხრეთ ოსეთში იხდიდა, სახელმწიფოს მეთაურის, ანატოლი ბიბილოვის ბრძანებით შეიწყალეს და გადაეცა აფხაზეთის პრეზიდენტის წარმომადგენელს ზურაბ ლაკერბაიას, რომელმაც, თავის მხრივ, დივერსანტი ქართულ მხარეს გადასცა“, — ნათქვამია ინფორმაციაში.

სააგენტოს ინფორმაციით, პოსტკონფლიქტური დარეგულირების საკითხებში ცხინვალის დე ფაქტო პრეზიდენტის წარმომადგენელ მურატ ჯიოევის განცხადებით, მოცემული პროცედურა წარმოადგენს „სამხრეთოსური მხარის კეთილ ნებასა და პრეზიდენტის ჰუმანურობას“.

— მსჯავრდებულის გადაცემა აფხაზეთის პრეზიდენტის, რაულ ხაჯიმბასადმი გამოვლენილი პატივისცემაა, რომელმაც ანატოლი ბიბილოვს სთხოვა, გიორგი გიუნაშვილი შეეწყალებინა შემდგომში აფხაზეთის მოქალაქეში გადასაცვლელად, რომელიც სასჯელს საქართველოში იხდის, — განაცხადა ჯიოევმა.

მისი აზრით, მსჯავრდებულის შეწყალება და გადაცემა არის აქცია, რომელიც ადასტურებს „სამხრეთ ოსეთისა“ და აფხაზეთის სწრაფვას კეთილმეზობლური ურთიერთობებისკენ, მათ შორის, საქართველოსთან.

— ვიმედოვნებთ, რომ ეს შეფასდება როგორც საქართველოს, ისე საერთაშორისო საზოგადოების მხრიდან, — განაცხადა ჯიოევმა.

# სოსო ცინცაძე: „მარგველაშვილი თუ ისევ იყრის კენჭს, პარტიასაც შექმნის“

ნათია ხურცილავა



პოლიტოლოგი სოსო ცინცაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში საპრეზიდენტო კანდიდატებზე საუბრობს.

***– ბატონო სოსო, პრეზიდენტმა მარგველაშვილმა უმრავლესობას მიმართა, რისკები რეალურია და უშიშროების საბჭოს გაუქმება სწორი არ არისო. მარგველაშვილს კობახიძე გამოეხმაურა. შეიძლება ახალი ურთიერთბრალდებების მოწმენი გავხდეთ?***

– მართლაც, უშიშროების საბჭოს გაუქმება ვოლუნტარისტული გადაწყვეტილება იყო. ვინაიდან არ მოსწონდათ პრეზიდენტი, მას დაუპირისპირდნენ სწორედ ასეთი მეთოდებით, რაც არა მხოლოდ ერთ პიროვნებას, არამედ ქვეყანას აზიანებს.

***– რამდენად ქმედითია უშიშროების საბჭო?***

– ეს უკვე დამოკიდებულია პოლიტიკურ ნებაზე. შენ თუ არ გინდა, ქმედითი იყოს ნებისმიერი უწყება ან თანამდებობა, მაშინ არ იქნება. თუ ქმედითი არ გინდა იყოს, მაშინ სასამართლოც შეიძლება არაქმედითად აქციო. პოლიტიკური ნების შემთხვევაში უშიშროების საბჭო შეიძლება კიდევ უფრო გაძლიერებულიყო, ვიდრე სააკაშვილის დროს იყო.

***– პრეზიდენტმა მარგველაშვილმა განაცხადა, რომ ის ფიქრობს, მეორე ვადით იყაროს კენჭი. რა შანსები აქვს მარგველაშვილს?***

– ბუნებრივია, მარგველაშვილი არ გამორიცხავს, მეორე ვადით იყაროს კენჭი, ან რატომ უნდა გამორიცხოს?! ცუდი პრეზიდენტი იყო? მან დაამტკიცა, რომ აქვს მორალურ-იდეოლოგიური პრინციპები. ის არ მოერიდა ადამიანთან, რომელიც ყველაფერს წყვეტს ქვეყანაში, ურთიერთობის გაფუჭებას. მარგველაშვილმა თავის პრინციპებს შესწირა ივანიშვილთან ურთიერთობა. რა იყო იმაზე ადვილი, რომ ივანიშვილისთვის ყველა სურვილი შეესრულებინა, მაშინ ხომ უშიშროების საბჭოც ექნებოდა, მეორე ვადითაც იქნებოდა გარანტირებულად პრეზიდენტი და შეიძლება კანონიც შეეცვალა, რომ მესამე ვადით ეყარა კენჭი.

არაფერი იმაში უჩვეულო არ არის, რომ მარგველაშვილმა მეორე ვადით იყაროს კენჭი. პირველი, მარგველაშვილი ახალგაზრდაა, ის ვერ წავა სახლში მემუარების საწერად, რაოდენ დიდი ინტელექტუალიც არ უნდა იყოს, მას ამის უფლებას მისი ახალგაზრდული ბუნება არ მისცემს. მეორე, თუ ვინმე არის დღეს საქართველოში პოლიტიკოსი, არის მარგველაშვილი. მარგველაშვილი არის პოლიტიკოსი, თანაც ინტელექტუალი პოლიტიკოსი, რომელსაც ანალიზისა და აზროვნების უნარი აქვს.

თუმცა, ერთი კი არის, ახალი კონსტიტუციით, პრეზიდენტის თანამდებობა არის საპატიო, საპენსიო ადგილი. მაგალითად, გერმანიაში პოლიტიკური კრიზისია დღეს და ვნახეთ, გერმანიის პრეზიდენტ ვალტერ შტაინმაიერს რა უფლებამოსილებები აქვს. მას არანაირი უნარი არ აქვს, მიუხედავად იმისა, რომ ძალიან დიდი პოლიტიკური გამოცდილება გააჩნია. თანაც მას გაცილებით მეტი უფლებები აქვს, ვიდრე ექნება საქართველოს პრეზიდენტს ჩვენი კონსტიტუციის ახალი რედაქციით.

***– ალბათ ერთგვარი ინტრიგა იქნება, თუ ვინ იქნება მმართველი ძალის პრეზიდენტობის კანდიდატი.***

– რასაკვირველია. იმით, თუ ვის დაასახელებს „ქართული ოცნება“ თავის საპრეზიდენტო კანდიდატად, ბევრ რამეს ნათელი მოეფინება.

***– ვინ შეიძლება შეარჩიოს?***

– ჩვენ უნდა ვიფიქროთ იმ პიროვნებებზე, რომლებმაც ნაწილობრივ დაკარგეს მიმზიდველობა „ოცნების“ დამფუძნებლისთვის. თუმცა, მაინც ვერ იმეტებს ივანიშვილი მას და საბოლოოდ არ წირავს. სწორედ ასეთი პიროვნება იქნება შერჩეული.

***– შეიძლება ეს იყოს კვირიკაშვილი?***

– არაფერია გამორიცხული, მაგრამ ვნახოთ. რატომ ვამბობ ამას, იმიტომ, რომ ეს არ იქნება დაწინაურება, ეს იქნება გასტუმრება კეთილი სურვილებით დასასვენებლად. ვინ შეიძლება ასე იყოს გასტუმრებული? შეიძლება კვირიკაშვილი, ნარმანია ოდნავ უკეთესი მერი რომ ყოფილიყო, მასაც არ გამოვრიცხავდი.

***– ღარიბაშვილი?***

– ნაკლებად, რადგან ღარიბაშვილისთვის ეს იქნება მხოლოდ დასაქმება და სხვა არაფერი. ადამიანისთვის, რომელიც პრემიერი იყო, რომელზეც ივანიშვილმა თავის დროზე გვითხრა, ჩემზე კარგი პრემიერი გამოდგაო, არა მგონია, ეს საპენსიო ადგილი დიდ წარმატებას ნიშნავდეს.

რაც მარგველაშვილისთვის მომგებიანი იქნება, ის წამგებიანი იქნება „ოცნების“ ნებისმიერი კანდიდატისთვის. თუ მარგველაშვილი მეორე ვადით გახდება პრეზიდენტი, ეს იქნება მისი ნამდვილი გამარჯვება, ხოლო „ოცნების“ ნებისმიერი კანდიდატისთვის გამარჯვების შემთხვევაშიც ეს იქნება წაგება, რადგან ამით იმ პიროვნების პოლიტიკური კარიერა დასრულდება, მარგველაშვილის შემთხვევაში კი სულ პირიქით იქნება.

***– მარგველაშვილს ალბათ შეუძლია პოლიტიკური ცენტრის ფორმირებაც.***

– რასაკვირველია, თუ მარგველაშვილმა გადაწყვიტა და კენჭი იყარა, სრული პასუხისმგებლობით გეუბნებით, ის პოლიტიკურ პარტიასაც შექმნის. ეს იქნება მისთვის მეორე სუნთქვა დიდ პოლიტიკაში, მით უფრო, როდესაც მას არაფერი დასაკარგი არ აქვს, შეიძლება ის უფრო ხისტი იყოს, უფრო პრინციპული. ვინც არ უნდა დაუპირისპიროს „ოცნებამ“ მარგველაშვილს პირველსავე დებატებში, მას მარგველაშვილი „კატოკით“ გადაუვლის.



მარგველაშვილს უკვე სერიოზული ფორა აქვს. „ოცნების“ კანდიდატები დებატებს, ცხადია, მე მაღალი დონის, ინტელექტუალურ, პოლიტიკურ დებატებს ვგულისხმობ და არა ლანძღვაგინებას, მიჩვეული არ არიან. ისინი მხოლოდ ცხრა წელიწადზე საუბრობენ. მე არცერთი საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი არ მახსოვს, დღევანდელობაზე საუბრობდეს, მით უფრო დებატებში გამოსულიყოს ოპონენტთან. პოლიტიკა სხვა კი არაფერია, თუ არა მაღალი დონის დებატები.

ახლა მთელი პოლიტიკური ეშხი იმაშია, თუ ვინ იქნება „ქართული ოცნების“ საპრეზიდენტო კანდიდატი. ვნახოთ, დაველოდოთ მოვლენათა განვითარებას, რა გადაწყვეტილება იქნება მიღებული.

# ბრიუსელის ცივი შხაპი პოროშენკოსთვის

მარიამ მჭედლიშვილი

უცხოელი ექსპერტები ოპტიმისტურად აფასებენ ბრიუსელში გამართულ „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ სამიტს. მათი აზრით, საყურადღებო სიგნალი და მხარდაჭერა ევროკავშირიდან პარტნიორების მიმართ მდგომარეობს სამიტის ადგილის შერჩევაშიც. ცოტა ხნის წინ „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ მიმართ ევროპაში სკეპტიკური განწყობა შეინიშნებოდა.

ბრიუსელის სამიტში მონაწილეობდა ყველა პარტნიორი ქვეყანა – საქართველო, უკრაინა, მოლდოვა, აზერბაიჯანი, სომხეთი და ბელორუსი.

2015 წლის რიგის სამიტის შემდეგ ძალაში შევიდა ევროკავშირის ასოცირების შეთანხმებები სამ სახელმწიფოსთან – საქართველოსთან, მოლდოვასთან და უკრაინასთან. ამის გამო ეს სამი ქვეყანა ცალკე ჯგუფად ჩამოყალიბდა.

საქართველოს, უკრაინისა და მოლდოვის ევროპულ მისწრაფებებს კიდევ ერთხელ გაესვა ხაზი ბრიუსელის სამიტზეც.

ყველაზე მნიშვნელოვან მიღწევად ჩაითვალა საყოველთაო და გაფართოებული თანამშრომლობის შესახებ დოკუმენტის გაფორმება ევროკავშირსა და სომხეთს შორის. ეს დოკუმენტი მიიჩნევა ასოცირების შეთანხმების ერთ-ერთ ვარიანტად.




სამიტამდე სომეხი პოლიტიკოსები აცხადებდნენ, რომ მათთვის მნიშვნელოვანია ამ დოკუმენტში მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის საკითხის ასახვა. მათი შეფასებით, კონფლიქტის მოგვარებაში ერევნისა და ევროკავშირის პოზიციები ერთმანეთს ემთხვევა.

საბოლოოდ, ბრიუსელში არც შეთანხმებასა და არც დასკვნით დოკუმენტში არ ჩაწერილა ისეთი ფორმულირება, რომელიც გამოიწვევდა აზერბაიჯანის გაღიზიანებას. ბაქო დაეთანხმა ჩანაწერს დასკვნით დოკუმენტში, რომელიც აღიარებს ევროკავშირის ყველა პარტნიორის ტერიტორიულ მთლიანობას, დამოუკიდებლობასა და სუვერენიტეტს.

გააფორმებს თუ არა ევროკავშირთან რაიმე შეთანხმებას აზერბაიჯანი, ჯერ უცნობია. ექსპერტები ვარაუდობენ, რომ ბაქოს არ მოეწონება საქართველოსა და სომხეთს შორის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების განვითარება, რის სტიმულირებასაც ევროკავშირი აპირებს.

სამიტზე ყველა პარტნიორი ქვეყნისათვის დაისახა 20 სტრატეგიული მიზანი. ეს ამოცანები 2020 წლამდე უნდა შესრულდეს.

მიმომხილველების აზრით, ბრიუსელის სამიტი და უკრაინის პრეზიდენტის შეხვედრები ევროკავშირის მაღალჩინოსნებთან მისთვის ცივი შხაპი აღმოჩნდა.

ევროკომისარმა იოჰანეს ჰანმა პეტრო პოროშენკოს შენიშვნა მისცა იმის გამო, რომ უკრაინაში კორუფციას არასათანადოდ ებრძვიან. ევროკომისრის თქმით, უკრაინელი სახელმწიფო მოხელეებისა და დეპუტატების მიერ შევსებული ელექტრონული დეკლარაციების შემოწმება არადამაკმაყოფილებელია. არადა, ეს იყო პირობა ვიზალიბერალიზაციისთვის.

უკრაინელი ექსპერტების თქმით, ვაშინგტონმა შეიძლება მომავალში ნაკლები ინტერესი გამოიჩინოს უკრაინაში კორუფციის საკითხის მიმართ, მაგრამ ევროკავშირი ამ პრობლემას არ მოეშვება. პოროშენკოს ბრიუსელში ყვითელი ბარათი უკვე უჩვენეს. პოროშენკოს მხარდაჭერა არ აქვს. დასავლეთს ჯერ უკრაინაში არ ჰყავს კანდიდატი, რომელსაც მხარს დაუჭერდა მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებში. პოროშენკოს დასავლეთის თანადგომა დაკარგული აქვს.

ბრიუსელში პირადად იყო მიწვეული ალექსანდრ ლუკაშენკო, რომელიც იქ არ ჩასულა. მინსკი, რომელმაც ბრიუსელში დელეგაცია მიავლინა, ისევ მზადაა, ევროკავშირთან დადოს განსაკუთრებული დოკუმენტი, რომელიც არ დაემსგავსება ასოცირების შეთანხმებას.


## კვებით უზრუნველყოფის მომსახურების პროვაიდერთა მოწვევა

BP Exploration (Caspian Sea) Ltd - საქართველო იწვევს შესაფერის კომპანიებს ინტერესის გამოსახატად BP-ის თბილისის ოფისის კვებით უზრუნველყოფის მომსახურების გაწევაში. ქვემოთ მოცემულია ფასების შეთავაზების ელემენტების ზოგადი მიმოხილვა:

- კვებით უზრუნველყოფა – ცხელი ლანჩი (200-250 პორცია დღეში) და შეფუთული ლანჩი (10-15 პორცია დღეში, საღამოობით)
- წყლის მოწოდების უზრუნველყოფა
- მესამე მხარეებისგან შესყიდვა, მაგ. დანა-ჩანგლის, თეფშების და სამზარეულო ტექნიკისა, ოფისის სასადილოსთვის
- სასმელის პუნქტებით უზრუნველყოფა დაახლოებით 250 თანამშრომელზე, ჩაის ჩამომსხმელი ქალბატონების მიერ მომსახურების გაწევის ჩათვლით
- BP-ის ოფისისთვის საკვები უნდა მომზადდეს ფასის წარმდგენის შენობაში და მოხდეს ტრანსპორტირება იზოლირებული სატრანსპორტო საშუალებით, ჰიგიენის წესების და შესაბამისი ტემპერატურული რეჟიმის დაცვით

დაინტერესებულმა კომპანიებმა უნდა მოგვაწოდონ საკონტაქტო ინფორმაცია: კომპანიის დასახელება, მისამართი, ტელეფონის ნომერი, ელ-ფოსტის მისამართი და საკონტაქტო პირის სახელი და გვარი შემდეგ ელ-ფოსტაზე: lomam0@bp.com ან კომპანიის ოფისში მისამართზე: თბილისი, სულხან ცინცაძის 24, მაკა ლომაძეს, PSCM კატეგორიის სპეციალისტს.

წარდგენის ვადა: 2017 წლის 1 დეკემბერი.


# პატრიარქი მოსკოვში არ გაემგზავრება

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე 4 დეკემბერს მოსკოვში დაგეგმილ სადღესასწაულო ღონისძიებებში მონაწილეობის მისაღებად არ გაემგზავრება.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ პატრიარქის მდივანმა, დეკანოზმა მიქაელ ბოტკოველმა განუცხადა, აღნიშნულ ღონისძიებაზე ზოგადად საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის დელეგაცია იქნება წარმოდგენილი. კერძოდ, მოსკოვში სამი მღვდელმთავარი გაემგზავრება და მას პატრიარქის ქორეპისკოპოსი, ახალციხისა და ტაოკლარჯეთის მიტროპოლიტი თეოდორე (ჭუაძე) უხელმძღვანელებს.

მისივე თქმით, დელეგაციის შემადგენლობაში იქნებიან საპატრიარქოს საგარეო საქმეთა განყოფილების თავმჯდომარე, ზუგდიდისა და ცაიშის მიტროპოლიტი გერასიმე და ნიკორწმინდელი ეპისკოპოსი ვახტანგი. მღვდელმთავრები მოსკოვში 1-ელ დეკემბერს გაემგზავრებიან და მონაწილეობას მიიღებენ 4 დეკემბერს დაგეგმილ სადღესასწაულო ღონისძიებებში, რომლებიც რუსეთის ეკლესიაში პატრიარქობის აღდგენის 100 წლის იუბილეს ეძღვნება.

– უკვე გავაგზავნეთ წერილი, რომ პატრიარქი მოსკოვში ვერ გაემგზავრება და იგი აგზავნის დელეგაციას. პროგრამის დღის წესრიგი ამ მომენტისთვის ჩვენთვის უცნობია, თუმცა რუსეთის პატრიარქთან შეხვედრის დროს ორმხრივი კომისიის საკითხი დაისმება და მსჯელობა იქნება, – განაცხადა პატრიარქის მდივანმა.

მამა მიქაელის თქმით, დელეგაციის შემადგენლობაში პატრიარქის მოსაყდრე, მეუფე შიო არ არის, რადგან დელეგაციის შემადგენლობა უკვე გადაწყვეტილი იყო, როდესაც უწმინდესმა მეუფე შიო მოსაყდრედ დაასახელა.

4 დეკემბერს რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესია პატრიარქობის აღდგენის 100 წლის იუბილეს აღნიშნავს. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე მოსკოვში სადღესასწაულო ღონისძიებებში მონაწილეობის მისაღებად რუსეთის პატრიარქმა მიიწვია.

# „თუ რეისი გადაიდო ან ბარგი დაზიანდა, ჩვენ დაგეხმარებით“

ქართულ ინტერნეტსივრცეში სტარტაპი FlyHelp გამოჩნდა, რომელიც ავიამგზავრებს რეისის გადადებისას, გაუქმებისას ან გადაჯავშნისას კომპენსაციის მიღებაში დახმარებას სთავაზობს.

ევროპაში მსგავსი მეთოდი აპრობირებულია და, შესაბამისად, არსებობს მრავალი კომპანია, რომლებიც ავიამგზავრებს მსგავსი საკონსულტაციო-საშუამავლო სერვისით უზრუნველყოფენ.

სტარტაპის იდეა და შესრულება ვატო ფარცხალაძესა და მიხეილ ჭანტურიას ეკუთვნით, რომლებსაც აქვთ როგორც იურიდიული, ასევე, გერმანულ ავიახაზებში მუშაობის გამოცდილება. როგორ აპირებს FlyHelp, გახადოს ქართველი მგზავრებისა და ავიაკომპანიების ურთიერთობა უფრო ცივილიზებული და მარტივი? – ამ საკითხზე მარკეტერს სტარტაპის ერთ-ერთი შემქმნელი ვატო ფარცხალაძე ესაუბრა.



**ვატო ფარცხალაძე:**

– წელს პეგასუსის ავიახაზით მოვფრინავდი ბერლინიდან თბილისში. ბარგის სახით წამოვიღე ველოსიპედი, რომელიც მივიღე დაზიანებული თბილისის აეროპორტში. დავიწყე საჩივრის მომზადება. სანამ სწორ საკონტაქტო მონაცემებს მოვიპოვებდი, დამჭირდა დიდი დრო. სამწუხაროდ, ავიაკომპანიისგან ბარგის ანაზღაურებაზე უარი მივიღე. დავიწყე მოკვლევა ავიამგზავრების უფლებებთან დაკავშირებით, გავეცანი სხვადასხვა ადგილობრივ და საერთაშორისო რეგულაციებს. მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, მოვამზადე სრულიად განსხვავებული, კვალიფიციურად შედგენილი წერილი, კონკრეტული კონვენციებისა და რეგულაციების მუხლების მითითებით. ჩემს წერილზე სულ მალე პოზიტიური პასუხი მივიღე და თანხაც 4 სამუშაო დღეში, ანგარიშზე ჩამერიცხა. შემდგომში, ჩემს მეუღლესაც ანალოგიური რამ შეემთხვა, მაგრამ უკვე შემზადებული დავუკავშირდი ავიახაზს და მოკლე ვადაში, ჩემმა მეუღლემაც მიიღო კუთვნილი ანაზღაურება.

ზემოაღნიშნული მაგალითებიდან გამომდინარე, მივედი დასკვნამდე, რომ ბაზარზე არსებობდა რეალური პრობლემა, რამაც გადამაწყვეტინა ახალი კომპანიის დაარსება. ეს ამბავი ჩემს მეგობარს მოვუყევი. მასაც ჰქონდა მსგავსი გამოცდილება, როცა რეისის დაგვიანების გამო, ათათურქის აეროპორტში 11 საათი ლოდინი მოუწია. მიუხედავად კანონმდებლობაში გაწერილი უფლებებისა, მოწყალების სახით, მან ავიაკომპანიისაგან მხოლოდ 5-ევროიანი, საკვებისთვის განკუთვნილი ვაუჩერი მიიღო. მგზავრობისას მიღებული ნეგატიური გამოცდილების გაზიარების შემდგომ გადავწყვიტეთ, გავერთიანებულიყავით. მიხეილს დიდი გამოცდილება აქვს სატრანსპორტო სფეროში, თან იურისტია, რაც ამ საქმისთვის კარგი წინაპირობაა.

***– რა უფლებები აქვთ მგზავრებს ბარგის დაზიანების, რეისის გადადების ან გაუქმების შემთხვევაში?***

– მგზავრები, რომლებიც მოგზაურობენ საჰაერო ტრანსპორტით, სარგებლობენ სპეციალური უფლებებით. კერძოდ, თუ რეისმა დაიგვიანა 2 ან მეტი საათით, ავიახაზები ვალდებულნი არიან, მგზავრები უზრუნველყონ უფასო საკვებითა და გამაგრილებელი სასმელით, ხოლო თუ რეისმა დაიგვიანა 3 ან მეტი საათით, მგზავრები იღებენ კომპენსაციას 600 ევრომდე იმ შემთხვევაში, თუ დაგვიანება ან რეისის გაუქმება გამოწვეულია ავიახაზის მიერ, მაგალითად, ტექნიკური გაუმართაობის გამო.

კომპენსაციის ოდენობა დამოკიდებულია ფრენის მანძილზე. მაგალითად, თუ მგზავრი მიფრინავს 1.500 კილომეტრამდე მანძილზე, მას დაგვიანების, გაუქმების ან გადაჯავშნის შემთხვევაში, 250 ევრო კომპენსაცია ეკუთვნის. 1.500-დან 3.500 კილომეტრამდე – 400, ხოლო, 3.500 კილომეტრზე მეტ მანძილზე ფრენისას – 600 ევრო.

ბარგის დაზიანების შემთხვევები უფრო კომპლექსურია და ბევრ რამეზეა დამოკიდებული. ძირითადად, საგრძნობი დაზიანების შემთხვევისას, ავიახაზები ვალდებულნი არიან. აუნაზღაურონ მგზავრს ბარგის სრული ღირებულება, ხოლო უმნიშვნელო დაზიანებისას – შეკეთების საფასური.

***– მგზავრებს შეუძლიათ, პირდაპირ მიმართონ ავიახაზებს მსგავსი პრობლემის არსებობის შემთხვევაში. რა არის თქვენი როლი ამ საკითხში?***

– დიახ, რა თქმა უნდა, შეუძლიათ, მაგრამ კომპენსაციის მიღების პროცედურა დროსთან და ხარჯთან არის დაკავშირებული. ავიაკომპანიებს დიდი ვარირების საშუალება აქვთ, რათა თავიდან აირიდონ კომპენსაციის გადახდა. მგზავრს გაუჭირდება ავიაკომპანიასთან დავა. რადგან კომპენსაციის მიღებამდე ჩვენი სერვისი მგზავრისთვის უფასოა, მგზავრი არაფერს კარგავს. მეტიც, ჩვენი სერვისის სარგებლობის შემთხვევაში იგი, როგორც დროს, ასევე, ფინანსებს ზოგავს. კომპენსაციის მიღების შემთხვევაში კი, ჩვენ მიერ გაწეულ დახმარებაში, ავიამგზავრის ანგარიშსწორების 30%-ს ვიღებთ.

***– როგორ უნდა მოიქცნენ ავიამგზავრები რეისის გადადების ან ბარგის დაზიანების შემთხვევაში?***

– ფრენის გაუქმებისას აუცილებელია, ავიახაზებს მოსთხოვოთ ოფიციალური განმარტება, თუ რის გამო მოხდა ფრენის გაუქმება. მსგავსი დოკუმენტის არსებობა, შემდგომში საგრძნობლად გაგიადვილებთ დავის წარმოებას. ხოლო, ბარგის დაზიანების შემთხვევაში, სასურველია, აეროპორტშივე დადგინდეს დაზიანება.

***– რა მიმართულებით გეგმავთ განვითარებას?***

– პირველ ეტაპზე დავიწყებთ ვებპლატფორმით, შემდეგ გვინდა, რომ აპლიკაციის ფორმა მიიღოს, იმისათვის, რომ მგზავრს გაუადვილდეს ჩვენთან ურთიერთობა და აეროპორტშივე შეძლოს აპლიკაციის საშუალებით ჩვენთვის მომართვა. ამ სერვისის წარმატების შემთხვევაში, ვგეგმავთ, შევქმნათ ბოტი, რომელთანაც მარტივად შეეძლებათ კომუნიკაცია და კითხვებზე პასუხის მიღება, მაგალითად, ეკუთვნის თუ არა კონკრეტულ ადამიანს კომპენსაცია. ამ ეტაპზე კი დაზარალებულ ავიამგზავრებს შეუძლიათ დაგვიკავშირდნენ ვებგვერდის ან ფეისბუკის მეშვეობით, ასევე, დაგვირეკონ და გამოგვიგზავნონ საკუთარი ბორტბარათი.

# ვასო ურუშაძე: „ქვეყანას არასწორი სატრანსპორტო პოლიტიკა აქვს“

საქართველოს სატრანსპორტო დარგების მიერ გადაზიდული ტვირთების მოცულობა ბოლო რამდენიმე წელია იკლებს. 2017 წლის იანვარ-აგვისტოში, გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, ეს მაჩვენებელი 800.000 ტონით შემცირდა. 5 წელია იკლებს სარკინიგზო ტვირთბრუნვა, რაც იმაზე მიუთითებს, რომ დარგში პრობლემებია.



ტრანსპორტის საკითხებზე მომუშავე ვასო ურუშაძე „კომერსანტთან“ საუბრისას აღნიშნავს, რომ ქვეყანაში მთავარი პრობლემა არასწორი სატრანსპორტო პოლიტიკაა.

– ტვირთბრუნვის გამომწვევი მიზეზები კომპლექსურია. ქვეყანას არასწორი სატრანსპორტო პოლიტიკა აქვს. ჩვენ ვატარებთ მონიტორინგს, როგორც სარკინიზგო, ასევე საჰაერო თუ საზღვაო გადაზიდვების მიმართულებით. ყველგან ხელოვნური ბარიერები და მონოპოლიური სქემებია შექმნილი.

ჩვენ რომ ერთგვარი ჰაბის ფუნქცია შევასრულოთ, ქართველ გადამზიდავებს უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა, კონკურენტუნარიან გარემოში იყვნენ. კონკრეტული შემოსავლები უნდა მიიღონ, რომელიც ქვეყნის ეკონომიკაში წავა. ამით ტვირთბრუნვაც გაიზრდება.

დღეს მსგავსი რამ არ ხდება. ვამბობთ, რომ რეგიონული სატრანსპორტო ლოჯისტიკური ჰაბი გავხდეთ და ამ დროს ქვეყანას სტრატეგია არ გააჩნია, სატრანსპორტო მიმართულებით როგორ განვითარდეს, როგორ დაიბრუნოს ისტორიული ფუნქცია, – აღნიშნავს ურუშაძე.

მისივე თქმით, ქვეყნის ეკონომიკაში დამატებითი დოვლათი რომ შეიქმნას და სამუშაო ადგილები გაიზარდოს, ამაში სატრანსპორტო დარგის განვითარებამ უნდა შეიტანოს წვლილი.

– გვაქვს პოტენციალი, რომ მთელ რეგიონში ერთგვარი მიზიდულობის ცენტრი გავხდეთ ბიზნესის, სამრეწველო, სამედიცინო, საგანმანათლებლო და ა.შ. მიმართულებით. მხოლოდ საავიაციო ჰაბიც რომ შევქმნათ, არაერთი სამუშაო ადგილი გაჩნდება.

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, ქვეყანაში ტრანსპორტის დარგი ყოველთვის მეორეხარისხოვანი იყო. მხოლოდ კონკრეტული პოლიტიკური პირების პირადი ინტერესების გამტარებელი იყო და ერთეულების გამდიდრებას ემსახურებოდა და არა ქვეყნის განვითარებას. სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა სავალალო მდგომარეობაშია, ჩამოშლის პირას არის და დღეს რეალურად გასაღებს ვეძებთ იქ, სადაც არ არის. მათ შორის გასაღებს ვეძებთ ტურიზმში, – აცხადებს ურუშაძე.

რაც შეეხება საჰაერო გადაზიდვებს, მისი განმარტებით, სფერო მზარდია, თუმცა აქ გადაზიდვებს უცხოური კომპანიები ასრულებენ: – სამწუხაროდ, ამ გადაზიდვებს უცხოური, ხშირ შემთხვევაში თურქული და აზერბაიჯანული კომპანიები ახორციელებენ. საქართველოს აეროპორტების გამოყენებით საავიაციო ტვირთების გადაზიდვას ახდენენ. შემოსავლების ნაწილი ქართულ ეკონომიკაში არ ხვდება. ქართული კომპანიები სატვირთო გადაზიდვების ბაზარზე უმნიშვნელოდ არიან წარმოდგენილი.

ვასო ურუშაძე აცხადებს, რომ ყველა მიმართულებით ტვირთების მოზიდვა სახელმწიფოს პრეროგატივაა.

– სახელმწიფომ უნდა შექმნას ჯანსაღი, კონკურენტული გარემო, აღმოფხვრას ყველა ის ბარიერი, რომლებიც ტვირთმფლობელს უბიძგებს, რომ საქართველოს სატრანსპორტო დერეფანი არ გამოიყენონ. ასევე, არის პრობლემები რეგიონში სხვა ქვეყნებთან მიმართებაში. მაგალითად, აზერბაიჯანის შემთხვევაში, რაზეც ღიად არ საუბრობენ.

ჩვენი მეზობელი სახელმწიფოა, კარგი დამოკიდებულება გვაქვს, მაგრამ, სიმართლე უნდა ითქვას, რომ აზერბაიჯანის სატრანსპორტო დერეფანში გარკვეული ბარიერები არსებობს კონკრეტული კომპანიებისგან და პირებისგან. ეს პრობლემები ორი ქვეყნის უმაღლესი პირების დონეზე უნდა მოგვარდეს, – აღნიშნავს ურუშაძე.

მისივე თქმით, აუცილებელია, ქვეყანაში არსებობდეს ტრანსპორტისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო და ტრანსპორტის სფეროზე პასუხისმგებელი უმაღლესი პირი.

– თურქეთში ყველაზე მეტ ინვესტიციას ტრანსპორტის დარგში დებენ, რადგან ეს არის ეკონომიკის წარმატების ფორმულა. არაფრის მაქნის დეპარტამენტებს და სააგენტოებს თუ შეამცირებენ და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ტრანსპორტის მიმართულებას დაუმატებენ, ამით ოპტიმიზაცია და ხარჯების შემცირებაც მოხდება. საერთაშორისო კონფერენციებზე თუ შეხვედრებზე, რომელსაც ტრანსპორტის მინისტრები ესწრებიან, ჩვენი მხრიდან ეკონომიკის ან ფინანსთა მინისტრის მოადგილეები ესწრებიან, რომლებსაც არანაირი ლეგიტიმაცია თუ ბერკეტი არ გააჩნიათ, – აღნიშნავს ვასო ურუშაძე.

# ისრაელში უძველესი ქართული ეკლესიის ნაშთებს მიაკვლიეს



ისრაელში, ქალაქ აშდოდში, არქეოლოგიური გათხრების მიმდინარეობისას მე-6 საუკუნის ქართული ეკლესიის მოზაიკური იატაკის ნაშთები აღმოაჩინეს. იატაკზე აღმოჩენილი ბერძნული წარწერა იუწყება, რომ ეს ეკლესია ეპისკოპოს პროკოფის აუშენებია, მშენებლობის თარიღი კი მოზაიკაზე ქართული კალენდრის მიხედვითაა დატანილი. „მესამე ინდიქტიონი 292 წელი“. ისრაელის უნივერსიტეტის დოქტორის ლეია დი სენგის თქმით, ეს ჩვენი წელთაღრიცხვის 539 წელს შეესაბამება.

– ეს წმინდა მიწაზე ქართული კალენდრის გამოყენების ყველაზე ძველი შემთხვევაა, – განაცხადა დი სეგნიმ.

მეცნიერები აცხადებენ, რომ აქამდე მათთვის ცნობილი ქართული ნაგებობები, აღნიშნული ტერიტორიიდან ათეულობით კილომეტრით სამხრეთით, იერუსალიმში და მის შემოგარენში მდებარეობდა, ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე კი აქამდე მსგავსი აღმოჩენა არ გაკეთებულა.

– ისტორიული წყაროების მიხედვით, აშდოდში თავისი სიცოცხლის უკანასკნელი წლები გაატარა გამოჩენილმა ქართველმა მოღვაწემ პეტრე იბერმა. ახლა, როგორც ჩანს, ჩვენ ამის რეალურ მტკიცებულებას მივაგენით, – წერს ისრაელის სიძველეთა სააგენტო.

# ბათუმის შემოვლითი გზის მშენებლობის გამო მოქალაქეებს უძრავი ქონება იძულების წესით ჩამოერთმევათ

ბათუმის შემოვლითი გზის მშენებლობის მიზნით მიმდებარე ტერიტორიაზე 6 მოქალაქის უძრავი ქონება ექსპროპრიაციას (საკუთრების ძალადობრივი ჩამორთმევა სახელმწიფოს მიერ ანაზღაურებით ან მის გარეშე) დაექვემდებარება.



საუბარია გოგიტა ბერიძის საკუთრებაში არსებული 53 კვადრატული მეტრი ფართობისა და ილია პარასკევოპულოს, ირინა პარასკევოპულოს, მარია პარასკევოპულოს, მილია პარასკევოპულოს, ქრისტინა პარასკევოპულოს თანასაკუთრებაში არსებული 2.502 კვ. მეტრის ფართსა და მასზე არსებულ შენობა-ნაგებობებსა და ნარგავებზე.

როგორც ეკონომიკის მინისტრის ბრძანებაშია აღნიშნული, მესაკუთრეებთან მიწის ნაკვეთის გამოსყიდვის შესახებ შეთანხმება ვერ შედგა.

ბრძანების მიხედვით, მესაკუთრეები ინფორმირებულნი იყვნენ, რომ გამოსყიდვაზე მათი უარის შემთხვევაში სსიპ საავტომობილო

გზების დეპარტამენტი მათი საკუთრების ექსპროპრიაციის უფლების მოპოვების მიზნით, მიმართავდა კანონმდებლობით დადგენილ ღონისძიებებს.

ექსპროპრიაციის შემთხვევაში მესაკუთრეები საექსპროპრიაციო ქონების სანაცვლოდ კონსტიტუციით გარანტირებულ წინასწარ, სრულ და სამართლიან ანაზღაურებას მიიღებენ.

ბათუმის შემოვლითი გზის პროექტი მახინჯაურიდან – მდინარე ჭოროხამდე მონაკვეთს ითვალისწინებს. გზის მთლიანი მონაკვეთი 14.3 კმ-ს, ხოლო სიგანე 14 მეტრს შეადგენს. ბათუმის შემოვლითი გზა, რომელიც ბათუმს აღმოსავლეთიდან უვლის, მთელ სიგრძეზე ხელვაჩაურის რაიონში გადის.

# „თბილისის დინამოს“ ხელმძღვანელს ტერიტორიის მიტაცებასა და პირადი ინტერესებისთვის გამოყენებაში ადანაშაულებენ

საფეხბურთო კლუბი „თბილისის დინამო“ მერიის ზედამხედველობის სამსახურმა სხვისი ტერიტორიის მითვისების გამო 11.000 ათასი ლარით დააჯარიმა. შ.პ.ს. „დინამო თბილისმა“ მერიის საქალაქო სამსახურის გაფრთხილება უკვე მეორედ მიიღო, თუმცა ამ დრომდე არც ჯარიმა გადაუხდია და არც სხვა სახის რეაგირება მოუხდენია.



საფეხბურთო კლუბის ხელმძღვანელობამ ბაზის მომიჯნავე კერძო მესაკუთრის 1.500 კვადრატული ტერიტორია 2011 წელს მიიტაცა და მასზე უკანონო მშენებლობა განახორციელა. დავა კომპანია „ბაუ სტარსა“ და „დინამო თბილისს“ შორის მიწის ნაკვეთის გამო უკვე 6 წელია გრძელდება. „ბაუ სტარმა“ საკუთარი უფლებების დასაცავად თბილისის საქალაქო სასამართლოს მიმართა, რის შემდეგაც სასამართლომ დინამოს საწრთვნელი ბაზა დააყადაღა.

„დინამო თბილისის“ ხელმძღვანელობა თუ მის ტერიტორიულ საზღვრებს დროულად არ მოაწესრიგებს, კანონიერი პროცედურების გავლის შემდეგ აღსრულების ეროვნული ბიურო ვალდებული იქნება, სხვის ტერიტორიაზე უკანონო შენობა-ნაგებობების დემონტაჟი მოახდინოს.

კომპანია „ბაუ სტარის“ ხელმძღვანელობა ითვალისწინებს რა საფეხბურთო კლუბ „დინამო თბილისის“ ისტორიას, მზადაა მოლაპარაკების გზით პრობლემის მოსაგვარებლად იქნება ეს (მიწის ნაკვეთის ღირებულების ანაზღაურება თუ ადგილმონაცვლეობა), თუმცა დინამოს ხელმძღვანელი რომან ფიფია ყოველგვარ მოლაპარაკებაზე უარს აცხადებს და ტერიტორიით სარგებლობა უსასყიდლოდ სურს.

კომპანია „ბაუ სტარში“აცხადებენ, რომ ეს არ არის ერთადერთი დავა რომელიც დინამო თბილისის ხელმძღვანელობასთან არსებობს. საფეხბურთო კლუბი საქალაქო სასამართლოში თბილისის მერიას კომპანიის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის ზონის სტატუსს ედავება.

კომპანიის დირექტორ მამუკა შარაშენიძის განცხადებით, სარჩელი შეეხება ფუნქციური ზონის სტატუსს, რომელიც მიწის ნაკვეთს 1950-იან წლებში მიანიჭეს, თუმცა კლუბის წარმომადგენლები აპელირებას სულ სხვა თემატიკაზე ახდენენ. თითქოს მრავალსართულიანი კორპუსიდან ვარჯიშის კონფიდენციალურობა დაირღვევა, თუმცა ამ ეტაპზე დინამო თბილისის სავარჯიშო მოედანი 10-მდე მიმდებარე კორპუსიდან ჩანს. რომან ფიფიას მიერ თითიდან გამოწოვილ სარჩელს მხოლოდ ერთი მიზანი აქვს გადაფაროს მიტაცებული ტერიტორიის პრობლემა და დაიკმაყოფილოს პირადი ინტერესები.

# „ხალხი შველას ითხოვდა, ზეწრებს იქნევდნენ, აქ ვართ, გადაგვარჩინეთო... ერთ-ერთმა დედას დაურეკა, მიშველე, ვიხრჩობიო“

## ხანძარმა ბათუმის სასტუმრო „ლეოგრანდში“ 11 ადამიანი იმსხვერპლა

24 ნოემბერს, საღამოს 8 საათზე, ბათუმის სასტუმრო „ლეოგრანდში“ ხანძარი გაჩნდა, რომელსაც 11 ადამიანი ემსხვერპლა. აქედან 10 საქართველოს მოქალაქეა, 1 – ირანის.

ტრაგედიის დეტალებს თვითმხილველები იხსენებენ. ისინი ამბობენ, რომ სასტუმროში მოულოდნელად ძლიერი დაკვამლიანება შენიშნეს, რასაც პანიკა მოჰყვა.

სასტუმროში მყოფი ადამიანები გარეთ გამოსვლას საკუთარი ძალებით ცდილობდნენ, რადგან საევაკუაციო გასასვლელის არსებობის შესახებ მათთვის არავის შეუტყობინებია.

აი, რას ამბობს მსახიობი კახა მიქიაშვილი, რომელიც ხანძრის დაწყების დროს ტერასაზე იყო:

– დაახლოებით 5-10 წუთში სასტუმროს ისეთი დაკვამლიანება მოხდა, რომ ვეცადე, შიგნით შევსულიყავი და კიბით ჩავსულიყავი, მაგრამ ეს შეუძლებელი იყო. ტერასიდან ვხედავდით რამდენიმე გაღებულ ფანჯარას, ხალხი შველას ითხოვდა, ზეწრებს იქნევდნენ, აქ ვართ, გადაგვარჩინეთო. ძირითადად უცხოელები იყვნენ და ერთი ქართველი გოგო, რომელიც არც ჩანდა, რადგან სასტუმროში უკვე შუქი გაითიშა.



ქვემოდან ვამხნევებდით, დამშვიდდით, მოსულია სახანძრო. მცირე პანიკა იყო, განსაკუთრებით უცხოელ ქალებში. ერთ-ერთი ადამიანი, რომელიც ტერასაზე იყო, ხედავდა, როგორ ითხოვდა მისი მეგობარი შველას ნომრიდან და წარმოგიდგენიათ, რა იქნებოდა?!

მერე ერთმანეთს ვამშვიდებდით და ერთ საათში ეს პანიკაც დაცხრა, მობილიზებული ვიყავით, ერთმანეთს დავხმარებოდით.

ვხედავდით, როგორ მოვიდნენ მეხანძრეები, მაგრამ საათ-ნახევრის განმავლობაში ვერ ამოვიდნენ კვამლის გამო. დაახლოებით ორ საათში კვამლი შეწყდა, როგორც ჩანს, კერა ჩააქრეს და ამწეები მოადგეს აივანს, მეხანძრეები ამოვიდნენ და ვინც ვიყავით აივანზე, უვნებლად გაგვიყვანეს, დაახლოებით 50 ადამიანი ვიქნებოდით. ყველა ცოცხალი, საღ-სალამათი გამოვედით გარეთ.

როცა მეხანძრეები ამოვიდნენ, ჩოჩქოლის გარეშე, ძალიან მობილიზებულად გამოვედით ყველა. გადაგვარჩინა იმან, რომ ახლოს ვიყავით ტერასასთან.

სასტუმროში იყვნენ სილამაზის კონკურს „მის საქართველოს“ მონაწილეები. ისინი ყველანი უვნებლად გადარჩნენ.

– კონკურსანტები, ყველა ერთად, ვახშამზე ვიყავით. როგორ გაჩნდა ხანძარი და რა მოხდა, ჩვენ არ ვიცით. 20-ვე კონკურსანტი არის კარგად და ჯანმრთელად, გადაყვანილი ვართ სასტუმროში, – განაცხადა სამოდელო სააგენტო „იმიჯ ცენტრის“ მენეჯერმა მაცაცო გულუამ 24 ნოემბერს საღამოს.

* * *

მოგვიანებით გავრცელდა ინფორმაცია, რომ ხანძრის შედეგად დაღუპულთაგან 8 ცხედარი ლიფტში აღმოაჩინეს, 1 აუზში, 1 კი – სავარჯიშო დარბაზში.

მას შემდეგ, რაც სასტუმროში ხანძრის შესახებ ინფორმაცია გავრცელდა, იქ მყოფებმა შენობის დატოვება ცადეს და ამ მიზნით ლიფტში შევიდნენ, რომლითაც ქვემოთ ჩასვლა სურდათ, თუმცა ელექტროენერგია გაითიშა და ისინი ლიფტში დარჩნენ.

– არცერთ მათგანს არა აქვს რაიმე დაზიანება. გაგუდულები არიან, – აღნიშნეს თვითმხილველებმა.

ხულოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ჯუმბერ დიმიტრაძის განცხადებით, დაღუპულთაგან 4 ახალგაზრდა ხულოს მკვიდრია: ზაურ აბულაძე, დათო ქამადაძე, მარად შანთაძე და როინ ჯოყილაძე.

– ჩემი ახლობლები, 29 და 33 წლის ბიჭები, სავარჯიშო დარბაზში დაახლოებით 1 საათის მისულები იქნებოდნენ, ინტენსიურად დადიოდნენ და ვარჯიშობდნენ. ერთ-ერთი მეზღვაური იყო, 1 კვირის წინ დაბრუნდა ნაოსნობიდან. როგორც ვიცი, საუნიდან გავრცელდა ხანძარი. სინათლეც ჩაქრა, გზა ველარ გაიკვლიეს და კვამლის გამო გაიგუდნენ, ერთ-ერთმა მათგანმა დედას დაურეკა, მიშველე, ვიხრჩობიო, – განაცხადა ერთ-ერთი დაღუპულის ახლობელმა.



იმ ადამიანთა შორის, რომლებიც ხანძარს ემსხვერპლნენ, ყოფილი სამხედრო ზაურ აბულაძეა. ამასთან დაკავშირებით თავდაცვის სამინისტრომ განცხადება გააკეთა:

„დაღუპულთა შორის ყოფილი სამხედრო მოსამსახურე ზაურ ნოდარის ძე აბულაძეა, რომელიც საქართველოს შეიარაღებულ ძალებში 2011 წლამდე მსახურობდა და 2010 წელს ავღანეთში საერთაშორისო მისიას ასრულებდა. თავდაცვის უწყება თანაგრძნობას უცხადებს და უსამძიმრებს 24 ნოემბერს ბათუმში მომხდარი ხანძრის შედეგად დაღუპულთა ოჯახებს და იზიარებს მათ მწუხარებას.“

ხანძრის შედეგად გარდაცვლილთა შორის ერთ-ერთი ახალგაზრდა 22 წლის ბექა შატაკიშვილია. იგი ბათუმის ღვთისმშობლის ტაძრის სტიქაროსანი იყო.

უბედურ შემთხვევას მისი მეგობარი, ლაშა მგელაძე, სოციალურ ქსელში გამოეხმაურა.

„ბავშვობიდან რაც კი შემომრჩა და რაც მახსოვს ყველაზე კარგად, შენ ხარ. როგორ ვთამაშობდით ხოლმე, სულ ერთად დავდიოდით ყველგან. ბოლო დროს აღარ გვქონდა ისეთი ურთიერთობა, იმიტომ, რომ შეიცვალა ყველაფერი. ჯერ ხომ ძალიან ახალგაზრდა იყავი. ვერ ვიჯერებ, არ მინდა დაჯერება. მინდა, რომ ტყუილი იყოს. უფალმა ნათელში ამყოფოს შენი ლამაზი სული, ბექა“, – წერს ბექა შატაკიშვილის მეგობარი.

ჟურნალისტმა ნანა აბულაძემ გარდაცვლილები ფეისბუქზე ასე გაიხსენა:

„ჩემი გემრიელი და ტკბილი ბიჭები აღარ მყავს, ხალხო! მოღალატე ხარ ზაურ, აბა გუშინ დილით მწერდი, სოფელში თოვლი მოსულა, წამო, ვიგუნდაოთო, მომატყუე, შენც მოღალატე ხარ, მარად, გემიდან ჩამოვალ თუ არა, გინახულებო, ჩამოხვედი რამდენიმე დღეა და არ მნახე! ჰოდა, ვივლი ასე, თქვენგან ნაღალატევი, იმ იმედით, რომ ოდესმე შეგხვდებით და პასუხს მოგთხოვთ ამ საქციელისთვის! რა მწარე ხართ და რა ტკბილი, როგორც ერთი ზღაპარი სიყვარულისა დასრულდა! მიყვარხართ, ძმებო.“

### 8 ცხედარი ლიფტში იპოვეს

ხანძრის შედეგად დაშავებულთა შორის სამი მეხანძრე იყო. მათ სამედიცინო დაწესებულებები შესაბამისი დახმარების მიღების შემდეგ დატოვეს.

როგორც ერთ-ერთი მეხანძრე ომარ ბერიძე „ინტერპრესნიუსთან“ საუბრისას აცხადებს, სასტუმროში ხანძრის დროს ძლიერი დაკვამლიანება იყო.

– კვამლი ჩავყლაპე, რის შედეგადაც გრძნობა დავკარგე, – განაცხადა მეხანძრემ.

* * *

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აჭარის პოლიციის დეპარტამენტში სასტუმრო „ლეოგრანდში“ მომხდარ ხანძართან დაკავშირებით გამოძიება მიმდინარეობს სსკ-ის 243-ე მუხლის მე-3 ნაწილით, სახანძრო უსაფრთხოების წესის დარღვევის ფაქტზე, რამაც გამოიწვია ორი ან მეტი ადამიანის სიცოცხლის მოსპობა ან სხვა მძიმე შედეგი.



გამოძიებაზე საპროცესო ხელმძღვანელობას ახორციელებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პროკურატურა.

25 ნოემბერს აჭარის მთავრობის აპარატში გამართულ მთავრობის საგანგებო თათბირზე მთავრობის თავმჯდომარემ და აჭარის მთავრობამ მიიღეს გადაწყვეტილება სასტუმრო „ლეოგრანდში“ დაღუპული საქართველოს მოქალაქეების დაკრძალვის ხარჯების დაფარვის შესახებ.

თითოეული გარდაცვლილის ოჯახს 10.000 ლარი გადაეცემა.

– ყველანი შეძრულები ვართ იმ ტრაგედიით, რაც ჩვენს ქალაქში მოხდა. ეს იყო ურთულესი წუთები, რომლებიც ყოველთვის დარჩება ჩვენი ქალაქის ისტორიაში და ყოველთვის გვემახსოვრება. ჩვენ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რომ რაც შეიძლება სწრაფად დადგინდეს ობიექტური სიმართლე და გავიგოთ, თუ რა გახდა ამ დიდი ტრაგედიის გამომწვევი მიზეზი.

მინდა, კიდევ ერთხელ გამოვთქვა ღრმა მწუხარება და თანავუგრძნო დაღუპულთა ოჯახებს, – განაცხადა აჭარის მთავრობის თავმჯდომარე ზურაბ პატარაძემ.

* * *

25 ნოემბერს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე ბათუმში სასტუმრო „ლეოგრანდთან“ მივიდა. ილია მეორემ დაღუპულთა სულის მოსახსენიებელი პანაშვიდი გადაიხადა. ასევე სასტუმროსთან იმყოფებოდნენ ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები და სასულიერო პირები.

* * *

სასტუმრო „ლეოგრანდი“ ხუთვარსკვლავიანია და ის 2015 წლის ზაფხულში გაიხსნა.

როგორც მაშინ მთავრობის ადმინისტრაციის პრესსამსახურის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში იყო ნათქვამი, სასტუმროში, რომელშიც 40 მილიონი დოლარის ოდენობის ინვესტიცია განხორციელდა და 700 ადამიანი დასაქმდა, არის 180 ნომერი და მსოფლიო კლასის მომსახურება. მაღალი კლასის სასტუმრო კომპლექსში განთავსებულია საპრეზიდენტო აპარტამენტები, საკონფერენციო დარბაზები, რესტორანი, კლუბი და სპაცენტრი.

სასტუმრო მაშინდელმა პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა 7 ივნისს გახსნა, რომელმაც ბათუმელებს წარმატებული პროექტის განხორციელება მიულოცა და თურქ ინვესტორს საქართველოს მთავრობის სახელით მადლობა გადაუხადა.

სასტუმრო „ლეოგრანდი“ შპს „მერსინ ტურიზმის“ საკუთრებაა.

საჯარო რეესტრის მიხედვით, კომპანია საქართველოში 2011 წელს არის დარეგისტრირებული. მისი მფლობელები არიან თურქეთის მოქალაქეები თოლგა ავგორენ და ათილგან არიფაღაოღლუ. მათ შორის კომპანიის წილები 80%-20%-ით არის გადანაწილებული.

რაც შეეხება კომპანიის ხელმძღვანელობას, რეესტრის მიხედვით, ესენი იყვნენ:

დირექტორი – მეთინ არიფაღაოღლუ, თურქეთი;

დირექტორი – ათილგან არიფაღაოღლუ, თურქეთი;

დირექტორი – ეროლ ავგორენ, საქართველო, თურქეთი.

* * *

ბათუმში მომხდარ ტრაგედიასთან დაკავშირებით საქართველოს მთავრობამ 27 ნოემბერი გლოვის დღედ გამოაცხადა.

გლოვის დღეს, გარდაცვლილთა ხსოვნის პატივსაცემად, საქართველოს მთელ ტერიტორიაზე დაეშვება სახელმწიფო დროშები.

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**
**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

## მერკელს ვადამდელი არჩევნების ჩატარება აღარ სურს

გერმანიის კანცლერმა ანგელა მერკელმა განაცხადა, რომ ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების ჩატარების წინააღმდეგია.




ცოტა ხნის წინ მერკელი ასეთი არჩევნების ჩატარებას მხარს უჭერდა. ექსპერტები ვარაუდობენ, რომ მალე ახალი მმართველი კოალიცია ჩამოყალიბდება. მასში შევლენ ქრისტიან-დემოკრატები და სოციალ-დემოკრატები, ანუ ის ძალები, რომლებიც გერმანიას მანამდე მართავდნენ.

## რუსული ბაზები სირიაში რჩებიან

რუსეთის თავდაცვის მინისტრმა შოიგუმ განაცხადა, რომ ანტიტერორისტული ოპერაცია სირიაში დასასრულს მიუახლოვდა.



მიუხედავად ამისა, რუსული ბაზები ოპერაციის დასრულების შემდეგაც ქვეყანაში დარჩებიან.

– არსად წასვლას არ ვაპირებთ, – თქვა შოიგუმ.

## ეგვიპტეში მეჩეთზე თავდასხმას 300-მდე ადამიანი შეეწირა

ეგვიპტეში პარასკევის ლოცვის დროს ელ-რაუდის მეჩეთში აფეთქება მოხდა. როცა შეშინებული ხალხი გარეთ გამოცვივდა, ქუჩაში დადარაჯებულმა ტერორისტებმა მათ ცეცხლი ავტომატური იარაღიდან გაუხსნეს.



შედეგად დაიღუპა 300-მდე ადამიანი, 100-ზე მეტი დაშავდა.

ეგვიპტელმა სამხედროებმა გადაკეტეს ყველა გზა, რომლებითაც ტერორისტები შემთხვევის ადგილიდან გაქცევას ცდილობდნენ. მათი სატვირთო მანქანები ალყაში მოაქციეს. ამის შემდეგ ატყდა სროლა. რამდენიმე მანქანა გადაბრუნდა. ცეცხლი მოედოთ შიგ მყოფ ტერორისტებს, რომლებიც ცოცხლად დაიწვნენ. სხვები, ვინც გადმოხტომა მოასწრო, იქვე ჩაცხრილეს.

პარალელურად, უპილოტო თვითმფრინავებით განახორციელეს დარტყმა ბაზებზე, სადაც ტერორისტები თავს აფარებდნენ. დაიხოცა 40 ტერორისტი.

ეგვიპტის პრეზიდენტმა ალ სისიმ ქვეყანაში სამდღიანი გლოვა გამოაცხადა. პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ მომხდარი ტერაქტი თავისი სიმხეცით უპრეცედენტოა.

– ეგვიპტის ისტორიას ამგვარი რამ არ ახსოვს, – თქვა პრეზიდენტმა.

ეგვიპტის შეიარაღებული ძალები სრულ საბრძოლო მზადყოფნაშია. ქვეყანა ტერორიზმთან ომისთვის ემზადება.

## ჟირინოვსკი: „რუსებს არაყი და როზგი უყვართ!“



სკანდალურმა რუსმა პოლიტიკოსმა ვლადიმერ ჟირინოვსკიმ მორიგი ექსცენტრული წინადადება წამოაყენა. მან განაცხადა, რომ რუსეთის პრეზიდენტის პოსტი უნდა გაუქმდეს:

– პრეზიდენტის ინსტიტუტის ნაცვლად სახელმწიფო მმართველის ინსტიტუტი უნდა იქნეს შემოღებული. მმართველს შეუზღუდავი ძალაუფლება ექნება!

ვლადიმერ ვოლფოვიჩმა ხაზი გაუსვა, რომ რუსეთი ყველაზე მეტ აღმავლობას მაშინ განიცდიდა, როცა მის სათავეში ძლიერი მონარქები ან დიქტატორები იდგნენ. ასეთები იყვნენ ივანე მრისხანე, პეტრე პირველი, ეკატერინე მეორე, სტალინი, დემოკრატია კი მუდამ ქაოსით მთავრდებოდა.

– გორბაჩოვისეულმა დემოკრატიამ და ელცინის ვაირეფორმებმა დიდი სახელმწიფოს დანგრევა განაპირობა. ომები, ლტოლვილები, შიმშილი, სიცივე, სიღატაკე, ბანდიტიზმის თარეში, – აი, რა მოუტანა რუსეთს თავისუფლებამ! – განაცხადა ჟირინოვსკიმ.

მისი აზრით, რუსეთის აღორძინება მხოლოდ რკინის ხელს შეუძლია, ამიტომაც მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა დიქტატურის დამყარებას მოითხოვს.

– რუსებს არაყი და როზგი უყვართ! ამ ორი კომპონენტის გარეშე ჩვენი ქვეყნის მართვა შეუძლებელია! – აცხადებს ჟირინოვსკი.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

### სპორტი

## ფაჩულიას შედეგიანი უქმეები

გოლდენ სტეიტ უორიორზმა მიჯრით 2 მატჩი მოიგო. ოკლენდელებმა საკუთარ არენაზე ჯერ ჩოიგაკო ბულსს მოუგეს. არადა, პირველი პერიოდი დაუთმეს „ხარებს“, მაგრამ მეორე მეოთხედიდან მოყოლებული მეტოქე უშანსოდ დატოვეს. მეორე პერიოდი „მეომრებმა“ 45:21 მოიგეს და ყველაფერი ცხადი გახდა. საბოლოოდ, 143:94 დაამარცხეს.




ოკლენდელებმა „ხარებთან“ კევინ დურანტისა და დრეიმონდ გრინის გარეშე ითამაშეს. პირველს ტერფის ტრავმა აწუხებს, გრინს კი დასვენების საშუალება მისცეს. მათ არყოფნაში მატჩი სტეფ კარის ბენეფისად იქცა. „მეომართა“ გამთამაშებელმა მხოლოდ 26 წუთი იასპარეზა და ამ დროში 33 ქულის, 7 მოხსნის, 4 პასისა და 2 ჩაჭრის შესრულება მოასწრო. სტეფმა მეორე მეოთხედში 26 ქულას მოუყარა თავი. 29 ქულა დააგროვა კლეი ტომპსონმა.

გუნდის ლიდერების მსგავსად, კარგი შეხვედრა ჩაატარა ზაზა ფაჩულიამ. სასტარტოში მყოფმა ქართველმა მეფარემ 18 წუთში 11 ქულა, 5 მოხსნა, 6 პასი და 2 ჩაჭრა დააგროვა. ზაზამ ტყორცნათა ასპროცენტიანი სიზუსტე აჩვენა – სამივე ორქულიანი და ხუთივე საჯარიმო ჩააგდო. ისიც უნდა ვთქვათ, რომ ზაზამ სეზონის საუკეთესო შედეგიანობა აჩვენა და შეხვედრაში შესრულებული შედეგიან გადაცემათა რაოდენობით კარიერის საუკეთესო შედეგი აჩვენა.

შემდეგ გოლდენ სტეიტმა ნიუ ორლეანს უმასპინძლა და ანგარიშით 110:95 დაამარცხა. ოკლენდელებს კვლავ ვერ დაეხმარა კევინ დურანტი, მაგრამ მის გარეშეც იოლად გავიდნენ. შეხვედრაში ყველაზე მეტი 27 ქულა სტეფ კარიმ ჩააგდო, ხოლო კლეი ტომსპონმა – 24 ქულა.

ფაჩულია, ტრადიციისამებრ, სასტარტო ხუთეულში იყო და მოედანზე საერთო ჯამში 19 წუთი გაატარა. ამ ხნის განმავლობაში ქართველმა ცენტრმა 10 ქულა, 6 მოხსნა, 2 პასი და 3 ჩაჭრა მოაგროვა. ზაზამ 9-დან ოთხი 2-ქულიანი ჩააგდო და 4-დან – ორი ჯარიმა.

გოლდენ სტეიტს 15 მოგება და 5 მარცხი დაუგროვდა და ამ მაჩვენებლით დასავლეთ კონფერენციის ცხრილში მეორე ადგილზეა.

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა

### კალეიდოსკოპი

## პორტუგალიის კუნძულთან გიგანტურ ზღვის სკატს მიაგნეს

იტალიელმა მყვინთავმა სტეფანო ულივმა პორტუგალიის კუნძულ პიკუს სანაპიროსთან ვიდეოზე გადაიღო გიგანტური ზღვის სკატი. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ბრიტანული გამოცემა ავრცელებს.



გიგანტური თევზი 20 მეტრის სიღრმეზე იმალებოდა. ულივის შეფასებით, მისი სიგრძე სამ მეტრს აღწევდა. მისი მტკიცებით, ის ასეთი ზომის სკატს არასოდეს შეხვედრია.

– ეს უცნაური გიგანტური ქვა, რომლის მსგავსიც აქამდე არაფერი მინახავს, შევნიშნე, – ამბობს ვიდეოს ავტორი, – რამდენიმე წამში კი მივხვდი, რომ ეს ქვა სულაც არ იყო. სინამდვილეში ის იყო ზღვის არსება – გიგანტური სკატი. ჩვეულებრივ მე მათთან გვერდიდან მივცურავ, ვცდილობ, არ დავაფრთხო და ქვებს ვეფარები.

ულივი ზღვის არსებისგან ერთი მეტრის დაშორებით შეჩერდა. სკატმა ის შენიშნა და განერიდა.

– მე მხოლოდ მისი კუდი მაღელვებდა, – იხსენებს იტალიელი მყვინთავი, – მათ ხომ იქ დიდი ეკლები აქვთ. ეს მათი იარაღია და მოწინააღმდეგის მოკვლა ერთი დარტყმით შეუძლიათ.

## ინდოელმა პირში 459 საწოვარა ჩაიტენა

ინდოელმა მანოჯ კუმარ მახარანამ მოახერხა პირში რეკორდული რაოდენობის პლასტიკატის საწოვარა ჩაედო, რომელიც სასმელების დასალევად გამოიყენება.



ინდოეთის ორისის შტატის მცხოვრებმა 23 წლის მახარანამ პირში 459 საწოვარა ჩაიდო და ათი წამის განმავლობაში ხელების დაუხმარებლად პირით ეჭირა. ეს მიღწევა გინესის რეკორდების წიგნში იქნა შეტანილი. მახარანამ 59 საწოვარათი გადააჭარბა ბრიტანელი საიმონ ელმორის შედეგს. აქამდე სწორედ მას ეკუთვნოდა ეს რეკორდი.

წესებით აკრძალულია საწოვარების პირში შესამაგრებლად ხელების გამოყენება. იმისთვის, რომ მის წინაშე მდგარი ამოცანის შესრულება გაეადვილებინა ინდოელმა საწოვარები რეზინების დახმარებით შეკრა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

## განცხადებები

### ქირავდება

● ქირავდება საკუთარი სახლის პირველი სართული, სამი ოთახი, სამზარეულო, აბაზანა, ინტერნეტი – დიღომში, დავით აღმაშენებლის ძეგლთან ახლოს, თამარ მეფის ქუჩა 3. ფასი 550 ლარი. ტელ: 592-599-777.

### ჯანმრთელობა, მკურნალობა

● ვმკურნალობ ბუასილს (ჰემორიო) – სისხლდენა, ნახეთქები, კვანძის გამოვარდნა. მხოლოდ მცენარეულ კომპონენტებზე დამზადებული შიგნით მისაღები დასალევი წამლით. აჩქარებს ოპერაციის შემდგომ ჭრილობების შეხორცებას. შედეგი 100%-იანია. 48 საათში ქრება სისხლდენა, ხოლო 72 საათში განთავისუფლდებით ტკივილებისაგან. ტელ: 568-90-78-09; 295-40-58 ჯემალი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 571-72-03-11; 247-58-83.

● სქესობრივი უძლურება (იმპოტენცია), პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის პრობლემების: ხშირი და უნებლიე, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, უშვილობა, ენურეზი (გენეტიკურიც), ქრონიკული ინფექციები (ვენერიული) – მკურნალობა და გაწმენდა ვირუსებისგან უახლესი მეთოდებით. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, წონის დაკლება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მომატება 2-6კგ-მდე. შედეგები 100%-იანი. ტელ: 577-29-37-41; 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული ჩვევა-დამოკიდებულებისგან სწრაფად განთავისუფლება. ნერვული სისტემის მოწესრიგება: შიშების, უძილობის, აგრესიის, დეპრესიის, აკვიატებების, ეჭვიანობის, ასევე: ღვიძლისა და კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პათოლოგიის მკურნალობა: ციროზი, ჰეპატოზი, გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიოზი, აშლილობა, კრონი. ორგანიზმის გაწმენდა ყველანაირი ტოქსინისგან. ტელ: 599-72-21-38; 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი და ეფექტური მეთოდი 3-6 სმ-ის მატებით. შედეგიანია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. მკურნალობა მცენარეული ძვლის მკვებავი მინერალებისა და ზვიგენის ხრტილის ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ხერხემლის პათოლოგიების გამოვლენისას სხვა განსაკუთრებული, ინდივიდუალური მეთოდებით. ასევე გახდომა თვეში 6-22კგ-მდე, მომატება 2-6კგ-მდე შიმშილის, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. პროგრამა-დანიშნულება ყველა პაციენტთან ინდივიდუალურია. ტელ: 599-72-21-48; 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● ძვალ-სახსართა პრობლემების: კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატოიდული ართროზის, პოდაგრის, ოსტეომიელიტის, ანკილოზიური სპონდილიტას, პოლიართრიტის, ყველა სახის ხერხემლის გამრუდების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილებისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილის სინდრომის მოხსნა, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა, მკურნალობა უშედეგოდ ნაოპერაციებ სახსრებზე. ტელ: 599-90-54-78; 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● სტომატოლოგიური მომსახურეობა ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ერთი ყბის ფასი 130 ლარი. კეთდება რუსული, იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98.

● კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატიზმის, პოდაგრების, ართრიტების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, სითხის დაბალანსება სახსარში, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა – შედეგები 100%-იანია. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულებისგან სწრაფი გათავისუფლება, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, დეპრესია), ღვიძლის დაავადებების მკურნალობა, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიები, დიარეა, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან 100%-იანი შედეგებით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.

● მკურნალობა მამაკაცებისათვის გარანტირებული შედეგებით – იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა, ქავილი, ტკივილი, ქრონიკული ინფექციები (ვირუსები, ვენერიული) – მკურნალობა უკუჩვენების გარეშე. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 595-293-299; 218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი მეთოდი თვეში 3-5 სმ, ძვლის მკვებავი მინერალები + ვარჯიშები, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროს, ასევე გახდომა თვეში 5-20 კგ ინდივიდუალური მეთოდი ყველა პაციენტთან – შედეგები 100%-იანი. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 ექიმი ქ-ნი სალომე.

# ბორჯღალოსნებმა ამერიკელები რთულ ბრძოლაში დაამარცხეს

საქართველო-შტატები 21:20

**საქართველო:** კვირიკაშვილი (მალაღურაძე 66), მათიაშვილი, შარიქაძე, კვესელაძე, მოდებაძე, ჯინჭველაშვილი, ლობჟანიძე (აფრასიძე 8), ნარიაშვილი (ჟვანია 65), ბრეგვაძე (მამუკაშვილი 65), ჩილაჩავა (ბეკოშვილი 66), ჩხაიძე (ნემსაძე 54), მიქაუტაძე; სუთიაშვილი (ლომიძე 54, კოლელიშვილი (თხილაიშვილი 62), ბიწაძე

**აშშ:** სქალი, თეო, ბრაქი, ქემპბელი (მეგი 79), მეთიას (ოგსპერგერი 79), მაკგინთი, დევისი, ქილიფი (მოუნგალოა 16), ტაუფეტეჰე (მელქომი 59), ველდრენი (რაიანი 52), პითერსონი (ბრეიქლი 63), სივეთა, ლენდრი (დურუთალო 75) ქვილი (ლემბორნი 52), მანოა



მიუხედავად იმისა, რომ სარაგბო სამყაროში ამერიკის ეროვნულ გუნდზე უკეთესად ვითვლებით, აქამდე ჩატარებულ ურთიერთშეხვედრებში ჩამოვრჩებოდით. ნოემბრის ტესტებზე მოპოვებული გამარჯვებით საერთო ანგარიშიც გავათანაბრეთ და 2017 წელიც მოგებით დავასრულეთ.

თუმცა, ეს მოგება იოლი ნამდვილად არ ყოფილა... ამერიკელებმა ბევრი პრობლემა შეგვიქმნეს და გაგვიმართლა კიდეც, რომ არ წავაგეთ – აშშ-ის ნაკრებს ბოლოს დადებული ლელო გარდასახვით რომ შეესრულებინა, შინ უფრო გახარებული დაბრუნდებოდნენ.

თუმცა, რაგბის ბურთი ოვალურია და...

ამასთან, ვერ ვიხსენებთ მატჩს, სადაც საქართველოს ნაკრებმა ამერიკის დონის გუნდთან ერთ ტაიმში ქულაც კი ვერ გააკეთა...

ცხადია ისიც, რომ გუნდი ყველა მატჩს ერთნაირად მაღალ დონეზე ვერ ჩაატარებს. არც ამერიკელები არიან ისეთი უდონო, რომ მათთან უპირობო გამარჯვება ჯიბეში გვქონოდა. ისიც უნდა ვთქვათ, რომ უელსთან გაცილებით მაღალ დონეზე თამაშის შემდეგ ეიფორიას არ უნდა მივცემოდით, მაგრამ ასეთ დონეზეც არ ველოდით...

მატჩიც ცუდად დავიწყეთ: ამერიკელებმა, ჩვენდა გასაკვირად, ჯარიმა კარში არ დაარტყეს, აუტში გადაიტანეს, დერეფანიც მოიგეს, მოლიც ააგორეს და ჯო ტაუფეტეჰემ შეძლო ბურთის დამიწება. შემდეგ მივხვდით, რატომ არ დაარტყეს ჯარიმა კარში – გარდასახვა ეიჯეი მაკგინტიმ ააცილა, შემდეგ კი ჯარიმებიც და გარდასახვებიც არაზუსტად ურტყა. გადამწყვეტზე ზემოთაც მოგახსენეთ.

გარდა იმისა, რომ ლელო მივიღეთ, ვასილ ლობჟანიძეც დაშავდა და შესაცვლელი გახდა, მოედანზე კი გელა აფრასიძე გამოჩნდა.

ქართველებმა მეტოქეს ათიოდე წუთში ქართულად უპასუხეს: მეტოქის 5- მეტრიანთან შერკინება დაინიშნა, რომელსაც ისე მივაწექით, რომ მეტოქემ ვერ გაძლო და მსაჯმაც საჯარიმო ლელო ჩათვალა.

ამერიკელები ისე გვიტევდნენ, რომ სათანადოდ ვერ დავუხვდით, უფრო ხშირად ვჯარიმდებოდით, რის გამოც 10 წუთით ჯერ ვიტო კოლელიშვილი დავკარგეთ, შემდეგ – ლევან ჩილაჩავა.

გარკვეული დრო 13 დავრჩით მოედანზე, მაგრამ გავუძელით: თუმცა, მანამდე ამერიკელებს ლელო გატანილი ჰქონდათ (ისიც მეტობაში) – ისევ დერეფანი, ისევ მოლი და ტაუფეტეჰემ დუბლი გაიფორმა, ხოლო გარდასახვა მაკგინტიმ შეასრულა ზუსტად.

„ბორჯღალოსნებმა" კაცნაკლულებმა დადეს ლელო: 28-ე წუთზე მრავალფაზიანი მიძალება ლევან ჩილაჩავამ დაასრულა. გარდასახვა კი სოსო მათიაშვილმა შეასრულა ზუსტად.

შემდეგ იყო ჩილაჩავამ რომ მიიღო ყვითელი ბარათი და ცოტა ხნით 13 კაცით მოგვიწია დარჩენა. თუმცა, როგორც კი მოედანს კოლელიშვილი დაუბრუნდა, იქით შევუტიეთ და ამან შედეგი გამოიღო: დერეფანი გიორგი ჩხაიძემ მოიგო, ჯაბა ბრეგვაძეს მიაწოდა და გამოცდილი კვაჭი სწრაფად შევარდა მეტოქის ჩათვლის მოედანში, გარდასახვა მათიაშვილმა ზუსტად შეასრულა და მასპინძლებმა ტაიმი 21:12 მოიგეს.

მეორე ნახევარში მაკგინტიმ ჯარიმა გაიტანა, სხვაობა 6 ქულამდე დაიყვანა და მეტოქეს თამაშის მოსაგებად ერთი გარდასახული ლელოს გატანა სჭირდებოდა. ოთხ წუთში ჯარიმის გატანა და თამაშის დამშვიდება შეეძლო სოსო მათიაშვილს, თუმცა ამჯერად მიზანმა უმტყუნა.

შეხვედრის დასკვნითმა 15 წუთმა ძალიან დაძაბულად ჩაიარა. 66-ე წუთზე სტუმართა ბურჯი მოუნგა ლოა გაასინბინეს და თითქოს უპირატესობა უნდა ჩაგვეგდო ხელში, მაგრამ ამჯერად ჩვენ ვერ ვისარგებლეთ რიცხობრივი უპირატესობით და კინაღამ თამაში წავაგეთ: 76-ე წუთზე სტუმრებმა მარცხენა ფლანგზე უპირატესობა შექმნეს, ბრაის კემპბელმა ხაზი გაჭრა და მისი შეჩერება ველარავინ მოახერხა. ყველაფერი მაკგინტიზე იყო დამოკიდებული: თუ გარდასახვას გაიტანდა, დავმარცხდებოდით, ამჯერად გაგვიმართლა და ამერიკელმა მგეზავმა ვერ გაიტანა – 21:20.

# საქართველომ ბოლო მეოთხედი და თამაში წააგო

გერმანია-საქართველო 79:70
**(18:18, 22:23, 20:20, 19:9)**

საქართველოს ეროვნული ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში გერმანიასთან მატჩში ჩაება. ილიას ზუროსის გაწვრთნილმა გუნდმა, რომელსაც ძირითადი ბირთვის უამრავი კალათბურთელი აკლდა, ღირსეულად ითამაშა ქალაქ ქემნიცის სავსე ტრიბუნების წინაშე მძლავრ გერმანიის ნაკრებთან და ბოლო პერიოდში გატყდა. საქართველოს ნაკრებმა, რომელიც ქართული სუპერლიგის 8 მოთამაშით იყო დაკომპლექტებული, ხოლო 6 დებიუტანტი ჰყავდა, მოგების შანსი დიდხანს შეინარჩუნა და რომ არა დასკვნით ეპიზოდში დაშვებული შეცდომები, მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირს გამარჯვებით დაიწყებდა.



ეს გახლდათ ძალიან აქტიური მატჩი მწვრთნელებისთვის, განსაკუთრებით, ილიას ზუროსისთვის, რომელიც გერმანიასთან მატჩს კარგად მომზადებული შეხვდა და თავის ასისტენტებთან გამუდმებული კომუნიკაციისა და მოედანზე მიმდინარე ვითარებიდან გამომდინარე, როტაციას ხშირად მიმართავდა. ჩვენი სამწვრთნელო შტაბის არჩეული ტაქტიკა ძალიან სარგებლიანი გამოდგა: რადგან ფარქვეშ ფეხი ვერ მოიკიდეს, ქართველები შორ სროლებზე გადავიდნენ და სარეკორდო პირველი პერიოდი ითამაშეს. მიხეილ ბერიშვილმა, მაიკლ დიქსონმა, ნიკა ცქიტიშვილმა და მერაბ ბოქოლიშვილმა პირველ ტაიმში ჯამში 12 სამქულიანი ჩააგდეს, რაც არათუ ევროპულ კალათბურთში, ნბა-შიც კი ძალიან დიდი იშვიათობაა.

გერმანელები ქართველების ასეთ სიზუსტეს არ ელოდნენ და დაიბნენ, ქართველებმა კი ზუსტი თამაში განაგრძეს და მეორე პერიოდის ბოლო წუთზე 41:35 დაწინაურდნენ. ამ მომენტში კარგი შანსი იყო, ხელჩასაჭიდი უპირატესობა მოგვეპოვებინა, თუმცა ბექა ბექაურმა ორივე საჯარიმო გააცუდა, ხოლო დაცვაში ბურთი ორჯერ მოვხსენით, მაგრამ ვერ შევინარჩუნეთ და რობინ ბერზინსმა სამქულიანი ჩაგვიგდო, თან მისი სროლის დასაფარებლად მომართული ნიკა დარბაიძე დააჯარიმეს და გერმანელმა დიდი შესვენებისთვის მინიმუმამდე შეამცირა მასპინძელთა უპირატესობა – 40:41.

მესამე მეოთხედში გერმანელებმა ალღო აუღეს ქართველთა თამაშს და ზუროსის გუნდმა თამაშის ეპიცენტრი პერიმეტრიდან სამწამიანში გადაიტანეს. ცხადია, თამაშის მოსაგებად სხვა პოზიციიდანაც საჭირო იყო შედეგიანობა, ვიდრე მხოლოდ სამქულიანების ჩაგდება გახლდათ. გერმანელები მესამე პერიოდში 60:55 დაწინაურდნენ, თუმცა მაიკლ დიქსონმა მიჯრით ჩაჭრები და შედეგიანი გარღვევები განახორციელა და პერიოდის ბოლო წამზე საქართველო ისევ დაწინაურდა – 61:60.

გადამწყვეტი პერიოდი ქართველებისთვის უშედეგოდ დაიწყო. გოგა ბითაძემ მე-4 პერსონალური მიიღო, რასაც შეხვედრის დასრულებამდე 5:30 წუთით ადრე მეხუთეც მოაყოლა და მოედანი დატოვა. გერმანელებმა ამოისუნთქეს და ბერზინსისა და მაიკ ზირბესის შედეგიანობით, რასაც პერიმეტრიდან შესრულებული ზუსტი სროლები დაერთო, 10-ქულიან ლიდერობას მიაღწიეს – 74:64. დარჩენილ 4 წუთში ქართველებმა ვერაფერი შეცვალეს და 70:79 დამარცხდნენ.

საქართველოს ნაკრების რიგებში საუკეთესო მაიკლ დიქსონი გახლდათ, რომელმაც მატჩი 23 ქულით, 4 მოხსნით, 5 პასითა და 2 ჩაჭრით დაასრულა. მაიკლი შეუდარებელი იყო 3 მეოთხედში, მაგრამ ბოლოს დაღლილობა დაეტყო – არცაა გასაკვირი, რადგან თითქმის არ დაუსვენია და პარკეტზე 37:29 წუთი გაატარა. მიხეილ ბერიშვილმა 15 ქულა დააგროვა – 9-დან 5 სამქულიანი ჩააგდო. რაც შეეხება გერმანიის ნაკრებს, შეუჩერებელი იყო რობენ ბენზინგი, რომელმაც არასრულ 27 წუთში 25 ქულა მოუტანა თავის გუნდს. მაიკ ზირბესმა 17 ქულა დააგროვა.

ჩვენი შესარჩევი ჯგუფის მეორე მატჩში სერბეთმა ავსტრიას 85:64 მოუგო. საქართველოს ნაკრები შემდეგ მატჩს სწორედ სერბეთთან 27 ნოემბერს ბელგრადში ჩაატარებს.

**მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა**

# შედეგები

## 25 ნოემბერი

### ფეხბურთი

**ინგლისი. პრემიერლიგა**

კრ.პალასი-სტოკი ........ 2:1
მანჩესტერი-ბრაიტონი ........ 1:0
ნიუკასლი-უოტფორდი ........ 0:3
სუონსი-ბორნმუთი ........ 0:0
ტოტენჰემი-ვესტ ბრომვიჩი ........ 1:1
ლივერპული-ჩელსი ........ 1:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.სიტი | 12 | 11 | 1 | 0 | 40-7 | 34 |
| 2.მანჩესტერი | 13 | 9 | 2 | 2 | 28-6 | 29 |
| 3.ჩელსი | 13 | 8 | 2 | 3 | 24-11 | 26 |
| 4.ტოტენჰემი | 13 | 7 | 3 | 3 | 21-10 | 24 |
| 5.ლივერპული | 13 | 6 | 5 | 2 | 25-18 | 23 |
| 6.არსენალი | 12 | 7 | 1 | 4 | 22-16 | 22 |
| 7.ბარნლი | 12 | 6 | 4 | 2 | 12-9 | 22 |
| 8.უოტფორდი | 13 | 6 | 3 | 4 | 22-21 | 21 |
| 9.ბრაიტონი | 13 | 4 | 4 | 5 | 13-14 | 16 |
| 10.ჰადერსფილდი | 12 | 4 | 3 | 5 | 8-17 | 15 |
| 11.ლესტერი | 13 | 3 | 5 | 5 | 17-19 | 14 |
| 12.ბორნმუთი | 13 | 4 | 2 | 7 | 11-14 | 14 |
| 13.ნიუკასლი | 13 | 4 | 2 | 7 | 11-17 | 14 |
| 14.საუთჰემპტონი | 12 | 3 | 4 | 5 | 9-14 | 13 |
| 15.სტოკი | 13 | 3 | 4 | 6 | 16-26 | 13 |
| 16.ევერტონი | 12 | 3 | 3 | 6 | 12-24 | 12 |
| 17.ვესტ ბრომვიჩი | 13 | 2 | 5 | 6 | 10-19 | 11 |
| 18.ვესტ ჰემი | 13 | 2 | 4 | 7 | 12-26 | 10 |
| 19.სუონსი | 13 | 2 | 3 | 8 | 7-15 | 9 |
| 20.კრ.პალასი | 13 | 2 | 2 | 9 | 8-25 | 8 |

**ინგლისი. ჩემპიონლიგა**

ბარნსლი-ლიდსი ........ 0:2
ასტონ ვილა-იფსვიჩი ........ 2:0
ბარტონი-სანდერლენდი ........ 0:2
ვულვზი-ბოლტონი ........ 5:1
მიდლსბრო-დერბი ........ 0:3
ნორვიჩი-პრესტონი ........ 1:1
რედინგი-უენსდი ........ 0:0 (0:0)
ფულემი-მილუოლი ........ 1:0
ჰალი-ბრისტოლი ........ 2:3
შეფილდი-ბირმინგემი ........ 1:1

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

ალავესი-ეიბარი ........ 1:2
რეალი-მალაგა ........ 3:2
ბეტისი-ხირონა ........ 2:2
ლევანტე-ატლეტიკო ........ 0:5

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 12 | 11 | 1 | 0 | 33-4 | 34 |
| 2.ვალენსია | 12 | 9 | 3 | 0 | 32-11 | 30 |
| 3.ატლეტიკო | 13 | 7 | 6 | 0 | 21-6 | 27 |
| 4.რეალი | 13 | 8 | 3 | 2 | 25-11 | 27 |
| 5.სევილია | 12 | 7 | 1 | 4 | 14-12 | 22 |
| 6.ვილიარეალი | 12 | 6 | 3 | 3 | 19-12 | 21 |
| 7.სოსიედადი | 12 | 5 | 3 | 4 | 25-22 | 18 |
| 8.ბეტისი | 13 | 5 | 3 | 5 | 23-27 | 18 |
| 9.სელტა | 13 | 5 | 2 | 6 | 24-19 | 17 |
| 10.ხირონა | 13 | 4 | 5 | 4 | 16-19 | 17 |
| 11.ლეგანესი | 13 | 5 | 2 | 6 | 9-12 | 17 |
| 12.ხეტაფე | 12 | 4 | 4 | 4 | 19-14 | 16 |
| 13.ლევანტე | 13 | 3 | 6 | 4 | 14-20 | 15 |
| 14.ეიბარი | 13 | 4 | 2 | 7 | 13-26 | 14 |
| 15.ესპანიოლი | 12 | 3 | 4 | 5 | 9-15 | 13 |
| 16.ბილბაო | 12 | 3 | 3 | 6 | 12-16 | 12 |
| 17.დეპორტივო | 12 | 3 | 2 | 7 | 15-23 | 11 |
| 18.მალაგა | 13 | 2 | 1 | 10 | 11-28 | 7 |
| 19.ალავესი | 13 | 2 | 0 | 11 | 7-22 | 6 |
| 20.ლას პალმასი | 12 | 2 | 0 | 10 | 8-30 | 6 |

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**

კადისი-ვალიადოლიდი ........ 1:0
ოვიედო-ნუმანსია ........ 3:1
ხიმნასტიკი-ლორკა ........ 0:2
ალკორკონი-სევილია ბ ........ 0:0
სარაგოსა-რეუსი ........ 0:0

**გერმანია. ბუნდესლიგა**

დორტმუნდი-შალკე ........ 4:4
ლაიპციგი-ვერდერი ........ 2:0
ფრაიბურგი-მაინცი ........ 2:1
აინტრახტი-ლევერკუზენი ........ 0:1
აუგსბურგი-ვოლფსბურგი ........ 2:1
გლადბახი-ბაიერნი ........ 2:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბაიერნი | 13 | 9 | 2 | 2 | 31-10 | 29 |
| 2.ლაიპციგი | 13 | 8 | 2 | 3 | 22-15 | 26 |
| 3.შალკე | 13 | 7 | 3 | 3 | 20-14 | 24 |
| 4.გლადბახი | 13 | 7 | 3 | 3 | 23-22 | 24 |
| 5.დორტმუნდი | 13 | 6 | 3 | 4 | 33-20 | 21 |
| 6.ლევერკუზენი | 13 | 5 | 5 | 3 | 26-18 | 20 |
| 7.ჰოფენჰაიმი | 12 | 5 | 5 | 2 | 21-15 | 20 |
| 8.აუგსბურგი | 13 | 5 | 4 | 4 | 18-15 | 19 |
| 9.აინტრახტი | 13 | 5 | 4 | 4 | 14-13 | 19 |
| 10.ჰანოვერი | 13 | 5 | 4 | 4 | 16-16 | 19 |
| 11.შტუტგარტი | 13 | 5 | 2 | 6 | 13-16 | 17 |
| 12.მაინცი | 13 | 4 | 3 | 6 | 14-19 | 15 |
| 13.ვოლფსბურგი | 13 | 2 | 8 | 3 | 17-19 | 14 |
| 14.ჰერტა | 12 | 3 | 5 | 4 | 16-19 | 14 |
| 15.ფრაიბურგი | 13 | 2 | 5 | 6 | 9-25 | 11 |
| 16.ჰამბურგი | 12 | 3 | 1 | 8 | 10-20 | 10 |
| 17.ვერდერი | 13 | 1 | 5 | 7 | 8-16 | 8 |
| 18.კიოლნი | 12 | 0 | 2 | 10 | 4-23 | 2 |

**გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა**

აინტრახტი-ნირნბერგი ........ 2:3
კილი-ინგოლშტადი ........ 0:0
რეგენსბურგი-დუისბურგი ........ 4:0

**იტალია. სერია ა**

ბოლონია-სამპდორია ........ 3:0
კიევო-სპალი ........ 2:1
სასუოლო-ვერონა ........ 0:2
კალიარი-ინტერი ........ 1:3

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ინტერი | 14 | 11 | 3 | 0 | 28-10 | 36 |
| 2.ნაპოლი | 13 | 11 | 2 | 0 | 34-9 | 35 |
| 3.იუვენტუსი | 13 | 10 | 1 | 2 | 37-14 | 31 |
| 4.რომა | 12 | 10 | 0 | 2 | 23-8 | 30 |
| 5.ლაციო | 12 | 9 | 1 | 2 | 32-14 | 28 |
| 6.სამპდორია | 13 | 8 | 2 | 3 | 27-18 | 26 |
| 7.ბოლონია | 14 | 6 | 2 | 6 | 17-17 | 20 |
| 8.კიევო | 14 | 5 | 5 | 4 | 17-21 | 20 |
| 9.მილანი | 13 | 6 | 1 | 6 | 19-18 | 19 |
| 10.ტორინო | 13 | 4 | 6 | 3 | 18-20 | 18 |
| 11.ფიორენტინა | 13 | 5 | 2 | 6 | 22-18 | 17 |
| 12.ატალანტა | 13 | 4 | 4 | 5 | 19-18 | 16 |
| 13.კალიარი | 14 | 5 | 0 | 9 | 13-24 | 15 |
| 14.უდინეზე | 12 | 4 | 0 | 8 | 18-23 | 12 |
| 15.კროტონე | 13 | 3 | 3 | 7 | 11-24 | 12 |
| 16.სასუოლო | 14 | 3 | 2 | 9 | 8-24 | 11 |
| 17.სპალი | 14 | 2 | 4 | 8 | 12-23 | 10 |
| 18.ჯენოა | 13 | 2 | 3 | 8 | 11-19 | 9 |
| 19.ვერონა | 14 | 2 | 3 | 9 | 12-29 | 9 |
| 20.ბენევენტო | 13 | 0 | 0 | 13 | 6-33 | 0 |

**იტალია. სერია ბ**

აველინო-პალერმო ........ 1:3
ასკოლი-კრემონეზე ........ 0:0
ვენეცია-ნოვარა ........ 1:3
კარპი-პარმა ........ 2:1
პრო ვერჩელი-ენტელა ........ 1:1
სპეცია-პესკარა ........ 4:0
ჩიტადელა-სალერნიტანა ........ 2:1

**საფრანგეთი. 1 ლიგა**

რენი-ნანტი ........ 2:1
კაენი-ბორდო ........ 1:0
დიჟონი-ტულუზა ........ 3:1
მეცი-ამიენი ........ 0:2
მონპელიე-ლილი ........ 3:0
ტრუა-ანჟე ........ 3:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პსჟ | 13 | 11 | 2 | 0 | 43-9 | 35 |
| 2.მონაკო | 13 | 9 | 2 | 2 | 35-13 | 29 |
| 3.ლიონი | 13 | 7 | 5 | 1 | 32-15 | 26 |
| 4.მარსელი | 13 | 7 | 4 | 2 | 27-18 | 25 |
| 5.ნანტი | 14 | 7 | 2 | 5 | 13-15 | 23 |
| 6.კაენი | 14 | 7 | 1 | 6 | 10-14 | 22 |
| 7.მონპელიე | 14 | 5 | 5 | 4 | 12-8 | 20 |
| 8.სტ.ეტიენი | 14 | 5 | 4 | 5 | 16-20 | 19 |
| 9.რენი | 14 | 5 | 3 | 6 | 17-18 | 18 |
| 10.ამიენი | 14 | 5 | 3 | 6 | 13-14 | 18 |
| 11.ტრუა | 14 | 5 | 3 | 6 | 16-18 | 18 |
| 12.დიჟონი | 14 | 5 | 3 | 6 | 20-23 | 18 |
| 13.ბორდო | 14 | 4 | 5 | 5 | 17-20 | 17 |
| 14.ტულუზა | 14 | 4 | 4 | 6 | 13-20 | 16 |
| 15.გენგამი | 13 | 4 | 3 | 6 | 14-22 | 15 |
| 16.ნიცა | 13 | 4 | 2 | 7 | 15-20 | 14 |
| 17.ანჟე | 14 | 2 | 8 | 4 | 17-23 | 14 |
| 18.სტრასბური | 14 | 3 | 5 | 6 | 17-26 | 14 |
| 19.ლილი | 14 | 3 | 3 | 8 | 12-22 | 12 |
| 20.მეცი | 14 | 1 | 1 | 12 | 5-26 | 4 |

**საფრანგეთი. მე-2 ლიგა**

ლე ავრი-ლანსი ........ 1:0

**ჰოლანდია. ეპედივიზიონი**

ვენლო-ტილბურგი ........ 3:3
გრონინგენი-ფეიენოორდი ........ 0:2
ერაკლესი-ბრედა ........ 2:1
ჰერენვენი-ზვოლე ........ 1:2

**პორტუგალია. პრიმეირა ლიგა**

პორტიმორენშე-ტონდელა ........ 2:0
ბოავიშტა-მორეირენშე ........ 1:0
ავიში-პორტუ ........ 1:1

**რუსეთი. პრემიერლიგა**

ტოსნო-არსენალი ........ 3:2
ახმატი-უფა ........ 2:1

**შვეიცარია. სუპერლიგა**

ლუცერნი-ბაზელი ........ 1:4
თუნი-სტ.გალენი ........ 1:2

**შოტლანდია. პრემიერლიგა**

ჰამილტონი-ჰიბერნიანი ........ 1:1
ჰართსი-როსი ........ 0:0

**ავსტრია. ბუნდესლიგა**

შტურმი-ლინცერი ........ 1:0
ადმირა-მატერსბურგი ........ 2:0
ალტახი-სტ.პოლენი ........ 3:0

**ბელგია. ა დივიზიონი**

ანტვერპენი-მეხელენი ........ 0:0
ოსტენდე-ეუპენი ........ 1:0
სტ.ტრუიდენი-ლოკერენი ........ 0:0
ბევერენი-შარლერუა ........ 0:2

**საბერძნეთი. სუპერლიგა**

იანინა-ქსანთი ........ 1:1
აპოლონი-ლამია ........ 1:1
ატრომიტოსი-პანათინაიკოსი ........ 1:1

**თურქეთი. სუპერლიგა**

გიოზთეფე-აკხისარი ........ 2:0
მალათია-ბეშიქთაში ........ 0:0
გალათასარაი-ალანია ........ 2:0

**ჩეხეთი. 1 ლიგა**

ბანიკი-კარვინა ........ 2:1

**პოლონეთი. ექსტრაკლასა**

პოგონი-პიასტი ........ 2:2
არკა-სსანდეცია ........ 5:0
კორონა-ლეგია ........ 3:2

**უკრაინა. პრემიერლიგა**

მარიუპოლი-ვორსკლა ........ 0:1
ოლიმპიკი-შახტარი ........ 2:4

**დანია. სუპერლიგა**

ჰელსინგერი-ოლბორგი ........ 0:1

# სვაბოდნაია პრესა: „რატომ აიარაღებს ამერიკა თბილისს“



– ვაშინგტონი აცხადებს, რომ საქართველოსთვის ტანკსაწინააღმდეგო კომპლექს ჯაველინის მიყიდვა ხელს შეუწყობს აშშ-ის უსაფრთხოების განმტკიცებასაც“ და ხაზს უსვამს, რომ რეგიონში ძირითადი სამხედრო ძალების ბალანსი არ დაირღვევა. მაგრამ მართლაც ასეა თუ არა? როცა პენტაგონი ამბობს, რომ აშშ-ის ეროვნული უსაფრთხოება საქართველოს უსაფრთხოებაზეა დამოკიდებული, ეს ძალიან არადამარწმუნებლად ჟღერს: სად ვაშინგტონი და სად თბილისი? – ამის შესახებ რუსულ გამოცემა სვაბოდნაია პრესას მიერ გამოქვეყნებულ სტატიაშია ნათქვამი, რომლის ქართულენოვან ვერსიას მცირე შემოკლებით გთავაზობთ.

როგორც ჩანს, ამერიკელებს სხვა უფრო მკაფიო მიზანი აქვთ – რუსეთისათვის რაღაც ცუდის გაკეთება უნდათ. ბოლო დროს ვაშინგტონი ჩვენს საზღვრებთან აქტიურობს, თანაც არა მხოლოდ თავისი სატელიტების მეშვეობით, არამედ ისეთი ქვეყნებითაც, როგორიც საქართველო და უკრაინაა. სხვათა შორის, კიევი დიდი ხანია ნატრობს ქართველებისთვის მიყიდულ ჯაველინის და შეიძლება დონალდ ტრამპმა მალე უკრაინაც გაახაროს... ახლა საკითხი მხოლოდ ასე შეიძლება დაისვას: რა მოხდება შემდეგ?

– მე მგონია, რომ ჯაველინის საქართველოსთვის მიყიდვა ერთგვარ სიმბოლურ ჟესტს წარმოადგენს, თბილისისთვის პოლიტიკური მხარდაჭერის დემონსტრაციას, – ამბობს მოსკოვის საერთაშორისო ურთიერთობების ინსტიტუტის („მგიმო“) სამხედრო-პოლიტიკური კვლევების ცენტრის ექსპერტი მიხეილ ალექსანდროვი, – თანაც ისეთი დემონსტრაცია, რომელიც, უპირველეს ყოვლისა, ამერიკულ კომპანიებისთვისაა მომგებიანი. ფულს ხომ სწორედ ისინი მიიღებენ. როგორც ვიცით, დონალდ ტრამპმა განაცხადა, რომ სამხედრო ბიუჯეტი და სამხედრო შეკვეთები გაიზრდებოდა... გარდა ამისა, იქმნება შთაბეჭდილება, რომ ამერიკა საქართველოსაც ეხმარება. შეიძლებოდა მათი მიწოდება სირიის ოპოზიციისა და ავღანელებისათვის, მაგრამ სირიაში ომის ცხელი ფაზა უკვე მთავრდება, ავღანელ თალიბებს კი ტანკები არ აქვთ. გამოდის, რომ ჯაველინები ამერიკას საწყობში აქვს „ჩაწოლილ საქონლად“, „მკვდარ ტვირთად“ შენახული. იფიქრეს, ვის მივცეთო და ბოლოს გადაწყვიტეს: „მოდით, საქართველოს გადავცეთ, ყველას ვაჩვენოთ, რომ მხარს ვუჭერთო“. საერთოდ კი, ჩვენთვის საქართველო, სამხედრო თვალსაზრისით, საფრთხეს არ წარმოადგენს. არც ჩვენ არ ვგეგმავთ მასზე თავდასხმას. ასე რომ, ჯაველინები ჩვენს ტანკებს არ დაემუქრება. სხვა საქმეა, თუ ამ იარაღს ამერიკა უკრაინასაც მიაწოდებს, ამით დონბასში სიტუაცია გამწვავდება.

როგორც ჟურნალ „სამშობლოს არსენალის“ რედაქტორი, სამხედრო ექსპერტი ალექსი ლეონკოვი ამბობს, ჯაველინები თბილისისა და კიევისათვის სრულიად სხვადასხვა მომენტებია.

– საქართველოს ამჟამად არავისთან არ აქვს კონფლიქტი და არც საკუთარ ხალხს არ ებრძვის უკრაინისაგან განსხვავებით, სადაც, ფაქტობრივად, სამოქალაქო ომი მიმდინარეობს. დონბასელებს ბევრი ტანკი აქვთ და ცხადია, გასაგებია, ვის წინააღმდეგ გამოიყენებს კიევი ამერიკულ ჯაველინებს. ამასთან, მართალია, თბილისისათვის ჯაველინების მიწოდება პირდაპირი მადესტაბილიზებელი ფაქტორი არ არის, მაგრამ მას სომხეთი და აზერბაიჯანიც ესაზღვრება, რომელთა შორის მთიანი ყარაბაღის კონფლიქტი მიმდინარეობს, – აღნიშნავს ალექსი ლეონკოვი.

რუსი ექსპერტი ერთმანეთს ადარებს სომხეთის, აზერბაიჯანისა და საქართველოს შეიარაღებას.

– სომხეთი რუსეთის მოკავშირეა, იქ ორი რუსული სამხედრო ბაზა მდებარეობს. ერევანი საკმაოდ თანამედროვე რუსულ იარაღს იღებს. აზერბაიჯანის არმია დღეს ყველაზე ძლიერი არმიაა რეგიონში, მას თურქეთიც ეხმარება და ისრაელიც. რაც შეეხება ქართულ არმიას, ის შედარებით მორიდებულად გამოიყურება, მიუხედავად იმისა, რომ მას ამერიკა ასპონსორებს. მას შემდეგ, რაც საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ქვეყნიდან გაიქცა, ამერიკის შეერთებულ შტატებს აღარ ჰქონდათ იმის საბაბი, რომ ქართული არმიის დაფინანსება ძველებურად აქტიურად გაეგრძელებინათ. გარდა ამისა, საქართველოს ხელისუფლება რუსეთთან მიმართებით თავშეკავებულ პოლიტიკას ატარებს. ეტყობა, რაღაც ძვრები მოხდა აშშ-ის გეოპოლიტიკურ ხედვებში. ისინი ახლა აქტიურად ქმნიან „ბუფერულ სარტყელს“, თავიანთი მოკავშირეების სახით. ჰოდა, საქართველოც იძულებულია, მისი გავლენის სფეროში მოექცეს, – ამბობს ალექსი ლეონკოვი.

# დავით რაქვიაშვილი: „უშიშროების საბჭოს გაუქმება ვითარების სრულიად არაადეკვატური გააზრებაა“

უშიშროების საბჭოს მდივნის, დავით რაქვიაშვილის განცხადებით, ისანში განხორციელებული სპეცოპერაციის ფონზე უშიშროების საბჭოს გაუქმება არაადეკვატური გადაწყვეტილებაა.



– მომხდარს ნათლად მიეცა საერთაშორისო ტერორიზმის კვალიფიკაცია. ანბანური ჭეშმარიტებაა. რომ ტერორიზმი არის პოლიტიკური შინაარსის დანაშაული.

მიგვაჩნია, რომ უმაღლესი მთავარსარდლის ინსტიტუტის დასუსტება, უშიშროების საბჭოს გაუქმება არის ვითარების სრულიად არაადეკვატური გააზრება, – თქვა რაქვიაშვილმა.

რაქვიაშვილმა მიუსამძიმრა დაღუპული სპეცრაზმელის ოჯახს და მადლობა გადაუხადა კონტრტერორისტულ სპეცოპერაციაში მონაწილე ყველა სამართალდამცველს.

**მედიანიუსი**

# ალექსანდრე ელისაშვილი: „თბილისის ახალაშენებულ კორპუსებში შეუმოწმებია ვინმეს სახანძრო უსაფრთხოების ნორმები?“

თბილისის მერობის ყოფილი კანდიდატი ალექსანდრე ელისაშვილი ბათუმში, სასტუმრო „ლეოგრანდში“ მომხდარ ხანძარს გამოეხმაურა.



ელისაშვილი სოციალურ ქსელში დაინტერესდა, მომხდარის გამო მოსთხოვენ თუ არა პასუხს ბათუმის მერს, არქიტექტურისა და ზედამხედველობის სამსახურს.

– ბათუმის მერს, არქიტექტურის სამსახურსა და ზედამხედველობას მოსთხოვს ვინმე პასუხს ამისთვის? თბილისის ახალაშენებულ კორპუსებში შეუმოწმებია ვინმეს სახანძრო უსაფრთხოების ნორმები?! – დაწერა ელისაშვილმა.

**მედიანიუსი**

# რობერტ მუგაბეს 10 მილიონამდე დოლარს გადაუხდიან



ზიმბაბვეს გადაყენებული პრეზიდენტი რობერტ მუგაბე და მისი მეუღლე გრეისი ერთჯერადად 10 მილიონ დოლარსა და სასამართლო დევნისგან იმუნიტეტს მიიღებენ.

ამის შესახებ „გარდიანი“ ადგილობრივი მმართველი პარტიის მაღალჩინოსანზე დაყრდნობით იუწყება.

გამოცემის ინფორმაციით, ზუსტი თანხა, რომელსაც მუგაბე მიიღებს, ცნობილი არ არის, მაგრამ 10 მილიონ აშშ დოლარზე ნაკლები არ იქნება, ხოლო ამ თანხიდან ის 5 მილიონ დოლარს დაუყოვნებლივ მიიღებს.

გარდა ამისა, ექსპრეზიდენტი სიცოცხლის ბოლომდე მიიღებს ყოველწლიურად ხელფასს 150 ათასი დოლარის ოდენობით, მისი მეუღლე კი – ამ თანხის ნახევარს. მათ ასევე შეეძლებათ საკუთარ რეზიდენციაში დარჩენა.

სახელმწიფო ექსპრეზიდენტსა და მის მეუღლეს სამედიცინო მომსახურებას, სახლის პერსონალის, უსაფრთხოების ხარჯებსა და საზღვარგარეთის ვიზიტებს აუნაზღაურებს.

25 ნოემბერს ზიმბაბვეს უმაღლესმა სასამართლომ ქვეყნის სამხედროთა მოქმედებები გაამართლა, რომელმაც რობერტ მუგაბე თანამდებობიდან გადააყენა.

# ასტროპროგნოზი

## 27 ნოემბერი



**ვერძი** – დროის უმეტეს ნაწილს საოჯახო საქმეების მოგვარებას ანდომებთ. გეგმები გეცვლებათ. აუცილებლობის შემთხვევაში დახმარებისთვის ახლობლებს მიმართეთ. **კურო** – ყველაფერს მოასწრებთ, თუ დროს სწორად გაანაწილებთ. თამამად იმოქმედეთ და მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწევთ. **ტყუპები** – თუ შეცდომა დაუშვით, აღიარეთ კიდეც. პარტნიორს იოლად ნუ მიენდობით. რეალობას თვალი გაუსწორეთ. **კირჩხიბი** – თუ დამოუკიდებლად იმოქმედებთ და, ამასთანავე, რეალობის აღქმას არ დაკარგავთ, შანსი მოგეცემათ, თქვენი ჩანაფიქრი სრულად განახორციელოთ. პირად ცხოვრებაში იმედგაცრუება გელით. **ლომი** – თავგადასავლებს ნუ ეძებთ. მიწაზე დაეშვით და იმ საქმით დაკავდით, რომელიც ამ ეტაპზე თქვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანია. ჯანმრთელობას მიხედეთ. **ქალწული** – დროის უმეტეს ნაწილს საოჯახო საქმეების მოგვარებას ანდომებთ. გეგმები გეცვლებათ. აუცილებლობის შემთხვევაში დახმარებისთვის ახლობლებს მიმართეთ. **სასწორი** – ჰარმონიული და გაწონასწორებული დღეა. ძალიან მოგიხდებათ ფიზიკური დატვირთვა, ფიტნესი, ცურვა. დღის მეორე ნახევარში თამამად შეუდექით ჩანაფიქრის განხორციელებას. პლანეტები თქვენ მიმართ კეთილგანწყობილი არიან. **ღრიანკალი** – თქვენი ეჭვიანი ბუნება ხელს გიშლით ყველაზე რეალური გეგმების განხორციელებაშიც კი. იყავით უფრო მიმნდობი და გჯეროდეთ ადამიანების. **მშვილდოსანი** – თუ დამოუკიდებლად იმოქმედებთ და, ამასთანავე, რეალობის აღქმას არ დაკარგავთ, შანსი მოგეცემათ, თქვენი ჩანაფიქრი სრულად განახორციელოთ. ძალზე მშვიდი და ჰარმონიული დღეა. **თხის რქა** – ხელმძღვანელობა ცუდი თვალით გიყურებთ. როგორც ჩანს, სადღაც შეცდომა დაუშვით. სანამ დროა, იზრუნეთ მის გამოსწორებაზე. შენიშვნას ნუ დაიმსახურებთ. **მერწყული** – ყველანაირად აარიდეთ თავი ახალ ნაცნობებს, ნუ იაქტიურებთ. კომერციული ოპერაციები დღეს დაუშვებელია. **თევზები** – ფრთხილად იყავით, რისკი გამართლებული არ არის, თუმცა დღეს, შესაძლოა, ოცნება აგიხდეთ. მიხედეთ ჯანმრთელობას.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

# სკანვორდი




1. ადვილი; 2. იუპიტერი ძველქართულად; 3. ... ჰეიერდალი; 4. საბანკო სესხი; 5. რუსი ილუზიონისტი; 6. სიგრძის საზომი ფრანგული ერთეული ძველად; 7. ქართული ფულის ერთეული; 8. მაჰმადიანთა ღმერთი; 9. ერთგვარი კანფეტი; 10. ალგორითმული ენა; 11. იტალიელი მწერალი, ისტორიკოსი, დიპლომატი (1469-1527); 12. იგივეა, რაც ნაადრევი; 13. ფირნიში; 14. ... კაკა; 15. ზედმეტ, უსარგებლო რამეზე ამბობენ; 16. სახელმწიფო აზიაში; 17. მამაკაცის სასიმღერო ხმა; 18. ლაინერის ფრთების მოძრავი ზედაპირი; 19. ვისიმე გამკილავი სარკაზმული ნაწარმოები; 20. ხულიგანი, ქურდი, ბანდიტი საფრანგეთში; 21. ქალაქი ინდოეთში; 22. ციფრი; 23. სურვილი; 24. გ.ფანჯიკიძის რომანი; 25. საყანწე მასალა; 26. ჭეშმარიტად! 27. გეომეტრიული სხეული; 28. ავტო..., მოტო...; 29. ორნამენტშემოვლებული ნახატი კედელზე ან ჭერზე; 30. ცდის საფუძველზე; 31. ეგვიპტელთა მზის ღვთაება; 32. ჰერას ქურუმი ქალი (მით.); 33. დედმამიშვილი.

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

### კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. ჭერხო; 2. ქლესა; 3. სალხინო; 4. მახა; 5. ვეძა; 6. ბიბლისი; 9. მანდარინები; 10. ანტრაციტი; 11. კოპიტნარი; 14. კუკია; 16. შტილი; 18. ნიგერია; 20. იალბუზი; 23. ლოსი; 24. ქერჩი; 25. შხამი; 26. პინო.

**თარაზულად:** 7. ქათინაური; 8. ვეგეტაცია; 12. დიუნი; 13. ლობიო; 15. ბოდბე; 17. კუბერტენი; 19. ყანწი; 21. აგუტი; 22. ემალი; 27. ფილოქსერა; 28. ფარნავაზი.

### კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. ვინჩესტერი; 2. დავითი; 3. ბერინგი; 4. თარჯი; 5. ვილნიუსი; 6. ფლუსი; 7. ჰეფნერი; 9. ბუხარა; 13. განგი; 17. რომი; 18. შჩი.

**თარაზულად:** 1. ვეჯვუდი; 3. ბაიათი; 8. ფიულკე; 10. ყიფშიძე; 11. შეიხი; 12. სინდიყი; 14. შტურმი; 15. ორიგამი; 16. სორდი; 19. ჯაგერი; 20. ცისკარი; 21. ესკიზი.

# სილამაზის კონკურსი „მის საქართველო 2017“ გადაიდო



ბათუმში, სასტუმრო „ლეოგრანდში“ გაჩენილი ხანძრის გამო სილამაზის კონკურსი „მის საქართველო 2017“ გაურკვეველი ვადით გადაიდო.

გადაწყვეტილება სილამაზის კონკურსის ორგანიზატორებმა მიიღეს. „მის საქართველო 2017“ სწორედ სასტუმრო „ლეოგრანდში“ უნდა ჩატარებულიყო და სწორედ ეს სასტუმრო მასპინძლობდა კონკურსის ორგანიზატორებსა და მონაწილეებს.

როგორც კონკურსის ორგანიზატორმა ია კიწმარიშვილმა ჟურნალისტებს განუცხადა, „მის საქართველო 2017“-ის ყველა მონაწილე ხანძარს უვნებელი გადაურჩა.

„მის საქართველო 2017“ 26 ნოემბერს ბათუმის მუსიკალურ ცენტრში უნდა გამართულიყო. სასტუმრო „ლეოგრანდში“ გაჩენილი ხანძრის შედეგად 11 ადამიანი დაიღუპა, ხოლო 15-ზე მეტი დაშავდა.

# ბათუმის თეატრმა სპექტაკლები მოხსნა

ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო თეატრმა სასტუმრო „ლეოგრანდში“ გაჩენილი ხანძრის გამო თეატრში დაგეგმილი სპექტაკლები მოხსნა.

როგორც თეატრის ხელმძღვანელობამ განაცხადა, ბათუმის თეატრი უერთდება საყოველთაო წუხილს და სასტუმროში უბედური შემთხვევის შედეგად დაღუპულთა ხსოვნის პატივსაცემად სპექტაკლების თამაშს წყვეტს.

# დათო ევგენიძე: „რუსთაველის თეატრში კონცერტი აღარ ჩატარდება“



მუსიკოსმა დათო ევგენიძემ მეგობარ ქამილ ჩალაევთან ერთად გადაწყვიტა, 27 ნოემბერს დაგეგმილი კონცერტი აღარ ჩატარდეს.

რუსთაველის თეატრში დაგეგმილი კონცერტის ჩაშლის მიზეზი ბათუმში მომხდარი ტრაგიკული შემთხვევაა.

ინფორმაცია დათო ევგენიძემ თვითონ გაავრცელა:

– საშინელი ტრაგედია მოხდა ბათუმში. ვიზიარებ მწუხარებას. სრულიად საქართველოში გლოვაა. კონცერტი რუსთაველის თეატრის მცირე დარბაზში 27 ნოემბერს აღარ ჩატარდება. მე და ჩემი სტუმარი ქამილ ჩალაევი თანაგრძნობას ვუცხადებთ მგლოვიარე ოჯახებს.

# ორშაბათს „ნიჭიერი“ ეთერში არ გავა

„ნიჭიერის“ მერვე სეზონის მეორე ნახევარფინალი ეთერში არ გავა. გადაწყვეტილება შოუს პროდიუსერებმა მიიღეს და ამის შესახებ მრავალრიცხოვან მაყურებელს გადაცემის ოფიციალური გვერდიდან შეატყობინეს:




– ვიზიარებთ მწუხარებას ბათუმში დატრიალებულ ტრაგედიასთან დაკავშირებით და ვუსამძიმრებთ გარდაცვლილების ოჯახებსა და ახლობლებს. 27 ნოემბერს ვუერთდებით გარდაცვლილთა ხსოვნის პატივსაცემად გამოცხადებულ გლოვის დღეს და გატყობინებთ, რომ „ნიჭიერი“ ორშაბათს არ გავა ეთერში. „ნიჭიერის“ მეორე ნახევარფინალის ეთერში გასვლის თარიღს ჩვენს მაყურებელს სამშაბათს შევატყობინებთ.

# მიშო სულუხია: „უსაქმურ ადამიანებს კბილები რატომ არასდროს აქვთ, რომ ენას დააჭირონ ხოლმე“



– უსაქმურ ადამიანებს კბილები რატომ არასდროს აქვთ, რომ ენას დააჭირონ ხოლმე! – აცხადებს მომღერალი მიშო სულუხია და ყველას საკუთარი საქმით დაკავებას ურჩევს:

– რა საოცარი დილაა, ენერგიით დამუხტული ვარ... ვიცი, იმდენად საინტერესო ცხოვრება მაქვს, რომ მისი შინაარსი მხოლოდ მე კი არა, ხშირად სხვებსაც ჰყოფნით. ჩემთვის ეს ბედნიერებაა, თუ თავისთავად სხვებსაც ვულამაზებ ყოფას, მაგრამ უსაქმურ ადამიანებს კბილები რატომ არასდროს აქვთ, რომ ენას დააჭირონ ხოლმე, ან სკამი რატომ არ აქვთ, რომ ტრ.კი დაასვენონ!

# მსახიობი გიგა დონდუა კომაშია



მსახიობ გიგა დონდუას ავტომობილი დაეჯახა, რის შედეგადაც თავის უმძიმესი ტრავმა მიიღო და კომაშია.

ინფორმაცია მხატვარმა და რეჟისორმა მაია კიკაბიძე გაავრცელა:

– ადამიანი გამოვიდა მაღაზიიდან, ტროტუარზე გაჩერებული მანქანა დაძრა მძღოლმა და დაეჯახა. მძღოლი გაიქცა, შემდეგ დააკავეს. ადამიანმა მიიღო თავის უმძიმესი ტრავმა, მეორე დღეა კომაშია და უმძიმესი მდგომარეობაში, ორი ოპერაცია ჩაუტარდა თავის არეში, მაგრამ შედეგი არ არის. ღმერთმა გადაარჩინოს და მისცეს მას სიცოცხლე. გამოჯანმრთელებას ვუსურვებ მსახიობ გიგა დონდუას.

# სოფო ნიჟარაძემ „ბუდა ბარში“ დაგეგმილი კონცერტი გადადო

მომღერალმა სოფო ნიჟარაძემ 25 ნოემბერს „ბუდა ბარში“ დაგეგმილი სოლოკონცერტი გადადო.



ამის მიზეზი ბათუმში, სასტუმრო „ლეოგრანდში“ განვითარებული ტრაგიკული მოვლენები გახდა. ინფორმაცია მომღერალმა თავად გაავრცელა:

– ძვირფასო კონცერტის სტუმრებო, „ბუდა ბარი“ და სოფო ნიჟარაძე ბათუმში განვითარებული მოვლენების გამო უერთდებიან საზოგადო მწუხარებას და გატყობინებთ, რომ სოფო ნიჟარაძის სოლოკონცერტი პირველ დეკემბერს ჩატარდება.

# ილია ჭავჭავაძე ნაგვის ურნაში მოისროლეს



დეკანოზი მამა პეტრე (კვარაცხელია) სოციალურ ქსელში ილია ჭავჭავაძის ფოტოს ავრცელებს, რომელიც ნაგვის ურნაშია მოთავსებული.

წელს ილია ჭავჭავაძის დაბადების 180 და მკვლელობის 110 წლისთავი აღინიშნება. საქართველოში მთელი წლის განმავლობაში სხვადასხვა ღონისძიებაა დაგეგმილი, თუმცა ფოტო, რომელიც მამაომ გაავრცელა, ყველაზე რეზონანსული აღმოჩნდა:

– აი, სად ვიმყოფებით. ამას წიწამურის ტყვია სჯობდა! ჩვენ მოვკვდით! – წერს მამა პეტრე სოციალურ ქსელში.

სამწუხაროდ, ეს არ არის პირველი შემთხვევა, როდესაც ილია ჭავჭავაძე ნაგვისთვის გაიმეტეს. ზუსტად ერთი წლის წინ გავრცელდა ინფორმაცია, სადაც ნაგავში, ილია ჭავჭავაძის ნაწარმოებებთან ერთად, მიხეილ ჯავახიშვილისა და ლევან სანიკიძის ნაწარმოებებიც აღმოჩნდა.

# თოიძის სახელობის ყოფილი სამხატვრო სასწავლებლის შენობა იყიდება

პროექტის „50 ქონება შენი სასტუმროსთვის“ ფარგლებში, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სახელმწიფო ქონების სააგენტომ არანაკლებ 80-ნომრიანი სასტუმროს მოწყობის მიზნით ელექტრონული აუქციონი გამოაცხადა.

ყოფილი სამხატვრო სასწავლებლის შენობა თბილისის ერთ-ერთ ისტორიულ და ტურისტულად აქტიურ ქუჩაზე, ჭონქაძის 21-ში მდებარეობს და პერიმეტრის ზედა ნაწილიდან დედაქალაქის ულამაზესი ხედები იშლება. აუქციონის პირობების მიხედვით, ქონების საწყისი ღირებულება 8.000.000 ლარს შეადგენს და მის მომავალ მფლობელს სასტუმროს ასაშენებლად მინიმუმ 10.000.000 ლარის ინვესტიციის განხორციელება მოუწევს.



პროექტის „50 ქონება შენი სასტუმროსთვის“ ფარგლებში, დღეის მდგომარეობით, გაყიდულია 26.895.501 ლარის უძრავი ქონება, ხოლო სასტუმროების ასაშენებლად განსახორციელებელი ინვესტიციის მოცულობა არანაკლებ 58.200.000 ლარს შეადგენს.

# რიანამ გიორგი ქებურიას სათვალით იპოზიორა



მსოფლიოში ცნობილმა მომღერალმა რიანამ ქართველი დიზაინერის გიორგი ქებურიას სათვალით ერთ-ერთი გავლენიანი უცხოური ჟურნალისთვის იპოზიორა.

წითელ კაბაში გამოწყობილმა მომღერალმა ქართველი დიზაინერის ორიგინალური წითელი სათვალე მოირგო.

ინფორმაცია და ფოტო ამის შესახებ გიორგი ქებურიამ თავად გაავრცელა.

ეს არ არის პირველი შემთხვევა, როდესაც გიორგი ქებურიას ნამუშევრებით მსოფლიო ვარსკვლავები ინტერესდებიან.

ლედი გაგამ ქართველი დიზაინერის მიერ თბილისში გამართულ მერსედეს ბენცის მოდის კვირეულზე წარმოდგენილი შემოდგომა-ზამთრის 2017-2018 წლების სეზონის კოლექციიდან ერთ-ერთი კაბა მოირგო და ფოტოები ინტერნეტში გაავრცელა.

***მოამზადა ეკა ირემაშვილმა***

# პროგრამა

**ოთხშაბათი 27 ნოემბერი**

07.30 "ნამდვილი დრო" 08.00 ანიმაცია. "მოგზაური დორა" 09.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00 "მოამბე" 09.15 ტ/სერ. "**ჩენტო ვეტრინე**" 10.00, 02.45 "პირადი ექიმი" 11.00, 19.00 ტ/სერ. "**ძველი ხიდის საიდუმლო**" 12.15 "სპორტის დაფა" 12.40 "კვირის ინტერვიუ"- ირაკლი აბსანძე 13.25 დოკ/ფ "თოფ-გიარი" 14.30 დოკ/ფ "ავტოდახმარება" 15.30, 06.30 დოკ/ფ "ესპანეთის ხელოვნება" 16.30 ტ/სერ. "**ველვეტი**" 18.30 დოკ/ფ "გონების თამაშები" 20.00, 03.45 ტ/სერ. "**ელემენტარული**" 21.30 "აქტუალური თემა მაკა ცინცაძესთან ერთად" 22.30 წინასამატჩო გადაცემა 22.50 **კალათბურთი**. მსოფლიოს 2019 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის მატჩი. **სერბეთი-საქართველო**. (ბელგრადიდან) 00.45 მხ/ფ "**მერი შელის ფრანკენშტეინი**"(რ.დე.ნირო) 04.45 მხ/ფ "**ტურისტი**" (ჯ.დეპი)

06.30, 16.00 სერ. "**ტყუილი**" 07.30, 08.15, 09.20 იმედის დილა 08.00, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 04.15 ქრონიკა 10.10, 14.40 სერ. "**ელიფი**" 11.20 სერ. "**ფიცი**" 12.30 იმედის დღე 17.35 სერ. "**ქალაქის გული**" 18.50, 19.03 სერ. "**მოპარული ცხოვრება**" 21.00 სპორტი 21.08 ამინდი 21.10 სერ. "**დედა**" 22.00 ნიჭიერი 00.30 მხ/ფ "**ბრუკლინელი პოლიციელები**" 02.50 მხ/ფ "**ტრანზიტი**" 04.30 მხ/ფ "**ბედისწერა**"

06.00, 18.50 სერ. "**დესპოტი ქმარი**" 07.00, 20.03 სერ. "**დედამთილი**" 07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15 დილამშვიდობისა საქართველო 07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00 კურიერი 10.15 სერ. "**მფარველი ანგელოზი**" 12.30 "სხვა შუა დღე" 13.55 სერ. "**ფერიჰას საიდუმლო**" 15.30 სერ. "**მზიანი დღეები**" 16.55 სერ. "**ბზარი**" 22.00 ჩემი სამზარეულოს წესები 23.00 სერ. "**ჩემი ცოლის დაქალები**" 00.00, 01.00 მხ/ფ 01.30 კურიერის დაიჯესტი 02.00 მხ/ფ

tv პირველი 7.55 ან/ფ 8.00 საქმიანი დილა 11.00 ქალების ნარატივი 12.00 სერ. "**რამონზე შეყვარებული**" 13.00, 17.00, 22.00 საინფორმაციო გამოშვება - NEWS 13.40 უცხოეთის ამბები 14.00, 16.00 დიანა ტრაპაიძის დღის ამბები 15.00, 22.30 საქმის კურსი 17.50, 0.00, 2.00 მხ/ფ 20.00 ხალხის პოლიტიკა 23.00 მოგზაურობა გიორგი გაბუნიასთან ერთად 23.30 ღალატი

GDS 08.00 ან/ფ "ატომი" 09.00 სერ. "**შავი კოდი 2**" 11.00 მხ/ფ "**სარკევ, სარკევ**" 13.00 სერ. "**კრიმინალური აზროვნება**" 17.00 სერ. "**სამხედროების ცოლები 4**" 19.00 სერ. "**ცისფერი სისხლი 6**" 21.00 სერ. "**ლურჯის ელფერი**" 22.00 მხ/ფ "**განგსტერებზე მონადირე**" 00.10 მხ/ფ "**საქვაბე**" 02.15 მხ/ფ "**სახელმწიფოს მტერი**" 04.35 მხ/ფ "**უკანასკნელი კადრი**" 06.20 მხ/ფ "**სარკევ, სარკევ**"

იბერია 08.00 ანანდა 08.10 მულტფილმი 08.20 მულტ/სერ. "დინოფროზი" 09.00 სერ. "**ბანდოლერა**" 10.40, 11.40, 12.40, 20.55, 22.55 ტელემარკეტი 11.00, 13.00, 17.00, 19.00, 23.40, ახალი ამბები 12.00, 2.00 ბიზნესკოდი 14.30 ექიმის საათი 15.00, 01.30 მოდი გავეყაროთ 16.00, 2.40 ფაბრიკა 18.30 სერ. "**ყველაფერი ცხოველების შესახებ**" 19.55 მე რომ ვიყო 20.00 თოქ შოუ "ცენზურის გარეშე " 21.00 სერ. "**გაქცეულები**" 22.00 სერ. "**ჯადოსნური ამბავი**" 23.00 პანორამა 00.00 მხ/ფ "**მძიმე იარაღი**" 3.40 ცენზურის გარეშე

06.15 ივერიის ეკლესია "საქართველოს ეკლესიის საზღვრები" 06.30 პატერიკი-"ღვთიური სიმდაბლით მოსილი მამა ეპიფანე" 06.35 ქართული ალბომი "პაატა ქურდოვანიძე" 07.10 ჩვენი საგანძური 07.30 ჩვენი ფონდი 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 დ/ფ "ველური ბუნება-ზვიგენის ღიმილი" 08.55 შვიდგზის ლოცვა 09.05 "განთიადი" (კოლაჟი) 10.10 პატრიარქის ქადაგება 10.25 ქვიშანი დარჩებიან 10.35 მიწათმოქმედი "მწვანე საფარი" 10.50 დ/ფ "სათავეებთან-აკაკი წერეთელი" 11.10 კვირიაკე 12.05 მხ/ფ "**როცა აყვავდა ნუში**" 13.40 ან/ფ "პიტერ პენი" 15.05 ქართული ან/ფ 15.25 სპექტაკლი "**კავკასიური ცარცის წრე**"I, II, III, IV მოქ. 18.05 გზა, რომლითაც ვიარე "ნიკო ცხვედაძე" 18.35 ძველი აღთქმის განმარტება 19.00, 22.00, 00.10 სიახლენი 19.20 კარაბადინი "ლეილა აბაშიძე, ლადო კახაძე" 20.00 საქართველო ევროპულ ოჯახში-პროგრამა "ემბარდი" 20.40 ძილი ნებისა "ტომი და ჯერი" 21.00 პატრიარქის ქადაგება 21.20 პატერიკი-"დანანებული მოწყალება" 21.30 საეკლესიო აღმშენებლობა "სამთავისისა და კასპის ეპარქია" 22.15 დ/ფ "გიორგიევსკის ტყუილი" 22.40 ძველი აღთქმის წინასწარმეტყველები "ესაია" XIII ნაწ. 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 აქტუალური თემა "პატრიოტიზმი" 23.45 ღვთის სახლი "წკეპლიკარი" 00.00 საეკლესიო კალენდარი 00.30 საუბრები სტუდიაში "გია მაჩაბელი, გია ანჩაბაძე" 01.30 კონცერტი

მაესტრო 10.00 - 23.00 მთავარი თემა (განმეორება ყოველ ერთ საათში) 10.30 - 3.00 ახალი ამბები (განმეორება ყოველ ერთ საათში)

**პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით**

# კროსვორდი

**თარაზულად:** 5. ღია მრუდი (მათემ.); 6. კრიტიკული მდგომარეობა; 8. აზოტმჟავის მარილი; 10. მოკლეელულიანი მსუბუქი თოფი; 11. ბატი ანუ ... (ტაილანდის ფულის ერთეული); 13. მნათე (ეკლეს.); 16. მოდავე მხარეთა თანასწორობის პრინციპი; 18. საჭმელი სოკო; 19. ქალიშვილი; 21. ბოლი; 22. გაუმჯობესებული მშვილდ-ისარი; 23. ანთებითი პროცესი კბილში.

**შვეულად:** 1. საწინდარი; 2. ნავსადგური; 3. ოკეანეში ჩაძირული ცნობილი გემი; 4. ორი არასასურველი შესაძლებლობიდან ერთ-ერთის არჩევის აუცილებლობა; 7. ვინმესთვის ავის მდომი; 9. კურკოვანი მომჟავო ხილი; 12. როდაილენდის შტატის ადმ.ცენტრი (აშშ); 14. ტკბილი კურკოვანი ხილი; 15. პროტესტანტების მღვდელი; 17. მდინარის მტაცებელი თევზი; 20. რისამე დადგენილი წილი.



*შეადგინა ოლივერ კოხიამ*

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

27 ნოემბრისთვის

- აშშ დოლარი — 2.7062
- ევრო — 3.2112
- ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.6041
- 100 რუსული რუბლი — 4.6278

## ამინდის პროგნოზი 27 ნოემბრისთვის




## 16 ნოემბრიდან




რომან გვენცაძის

**საბედისწერო გასროლა**

ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი

## 28 ნოემბრიდან

გურამ ყორანაშვილის

**ავკარგიანობა გიორგი სააკაძისა**




ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი



## იუმორი

ერთი ძაღლი მეორეს ეკითხება:

– რას ჰგავხარ, რა დაგემართა?

– პატრონმა მცემა.

– რისთვის?

– ვუკბინე.

– რატომ?

– დათვრა და ჩემი მედლები მკერდზე ჩამოიკიდა.

•••

ჟურნალისტი ფერმერს ეკითხება:

– როგორ ართმევთ თავს მძიმე სამუშაოს?

– შესანიშნავად, რამდენიმე ხის ამოძირკვა მჭირდებოდა, ამ დროს ამოვარდა ქარიშხალი და ეს სამუშაო ჩემს მაგივრად შეასრულა.

– საინტერესოა.

– შემდეგ წაქცეულ ხეებს მეხი დაეცა და მათი დაწვა აღარ დამჭირდა.

– საოცარია. და ახლა რითი ხართ დაკავებული?

– ახლა? კარტოფილი მაქვს ამოსაღები და მიწისძვრას ველოდები.

•••

მამა შვილს ეუბნება:

– შენ მეტად ახალგაზრდა ხარ სერიოზული ურთიერთობისთვის.

– კი მაგრამ, მამა, როდესაც რომეო და ჯულიეტა ერთმანეთს შეხვდნენ 16 და 13 წლის იყვნენ.

– მერე, მათი რომანი სამ დღეს გაგრძელდა და ხუთი ადამიანის სიცოცხლე შეეწირა.

•••

ცოლი ქმარს შვილის საქციელის გამო შესჩივის:

– ის უბრალოდ აუტანელი გახდა.

– ეგ რას ნიშნავს?

– მხოლოდ სხვა სულელების რჩევებს უგდებს ყურს. გთხოვ, დაელაპარაკე.

•••

ერთი მეზობელი მეორეს ეუბნება:

– სახლში აკვარიუმში ოქროს თევზი მყავს.

– მართლა?

– ჰო, სამ სურვილს ჩაიფიქრებ და...

– და რა?

– გამოიცნობს!

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## 23 ნოემბრიდან

ლაშა იმედაშვილი

**სამი მკვლელობა ძველ თბილისში**

**პატრიარქის ზაფხული**

ქართული დეტექტივი

ტომი 13

ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი




## 21 ნოემბრიდან

შიო გვეტაძე

**მონანიება**

ქართული დეტექტივი მე-14 ტომი




ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი


